ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

თ. სტურუა, თ. თოდუა, ზ. ტაბატაძე

# ლაბორატორიული სამუშაოები ინფორმატიკაში

(MS Windows-ის, MS Word-ის და MS PowerPoint-ის შესასწავლად)

თბილისი - 2014

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

თ. სტურუა, თ. თოდუა, ზ. ტაბატაძე

# ლაბორატორიული სამუშაოები ინფორმატიკაში

(MS Windows-ის, MS Word-ის და MS PowerPoint-ის შესასწავლად)

თბილისი - 2014

ავტორები: თეიმურაზ სტურუა, თეა თოდუა, ბესიკ ტაბატაძე

მოცემული ლაბორატორიული სამუშაოები სტუდენტებს MS Windows 7 ოპერაციული სისტემის, MS Word 2007 ტექსტური რედაქტორისა და MS PowerPoint საპრეზენტაციო პროგრამის პრაქტიკულ ათვისებაში დაეხმარება. საგნის სრულყოფილად შესწავლის მიზნით საგნის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო სათანადო ტერმინებისა და ბრძანებების გაცნობა სტუდენტებს მოცემულ სახელმძღვანელოში შეუძლიათ.

განკუთვნილია ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სპეციალობის სტუდენტებისათვის.

© ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014

ISBN 978-9941-0-7258-1

# ლაბორატორიული სამუშაო № 1

## Windows-ის ფანჯრის სტრუქტურის გაცნობა. ფანჯრის ზომების შეცვლა და გადაადგილება

გახსენით **Windows**-ის ნებისმიერი ფანჯარა და გაეცანით მის ძირითად ელემენტებს – სათაურის ზოლი, მენიუს ზოლი, სტანდარტული ინსტრუმენტების პანელი, სამისამართო ზოლი, ნავიგაციური პანელი, საინფორმაციო ზოლი, საქაღალდეებისა და ფაილების ჩამონათვალის არე. ფანჯრის ზომების შეცვლის მიზნით მაუსის მაჩვენებელი მიიყვანეთ ფანჯრის რომელიმე კიდესთან ისე, რომ მან მიიღოს ორმაგი ისრის (↔) ფორმა და მაუსის მარცხენა კლავიშზე ხელის აუღებლად გადაადგილეთ მაუსი საჭირო მიმართულებით.

ფანჯრის გადაადგილების მიზნით მაუსის მაჩვენებელი მიიყვანეთ ფანჯრის სათაურის ზოლზე და მაუსის მარცხენა კლავიშზე ხელის აუღებლად გადაადგილეთ მაუსი საჭირო მიმართულებით. მაუსის მაჩვენებელთან ერთად მოხდება ფანჯრის გადაადგილებაც.

## Windows-ის ფანჯრაში საქაღალდეებისა და ფაილების წარმოდგენის რეჟიმების შერჩევა და დალაგება

გახსენით **My Computer** ფანჯარა სამუშაო მაგიდაზე განთავსებულ **My Computer** ნიშნაკზე მაუსის ორჯერ დაწკაპუნებით ან სასტარტო მენიუში **Computer**-ზე მაუსის ერთხელ დაწკაპუნებით. შემდეგ გახსენით **C:** დისკოს ფანჯარა. **View** მენიუს ან კონტექსტური მენიუს **Views** ბრძანების დახმარებით ან ფანჯრის **Change your view** ღილაკით გახსნილი ჩამონათვალიდან შეარჩიეთ საქაღალდეებისა და ფაილების წარმოდგენის რეჟიმები (**Extra large icons** – ძალიან დიდი ნიშნაკებით, **Large icons** - დიდი ნიშნაკებით, **Medium icons** - საშუალო ზომის ნიშნაკებით, **Small icons** - მცირე ზომის ნიშნაკებით, **List** – საქაღალდეებისა და ფაილების სიით, **Details** – საქაღალდეებისა და ფაილების დეტალური სიით, **Tiles** – ფილების სახით, **Content** – საქაღალდეებისა და ფაილების შესახებ დეტალური ინფორმაციით). იმავე მენიუს **Sort by** ბრძანების საშუალებით მოახდინეთ ფანჯარაში ობიექტების მოწესრიგება (**Name** – სახელის, **Date modified** – შექმნის თარიღის, **Type** – ფაილის ტიპის ან **Size** – ზომის მიხედვით). აგრეთვე, მოახდინეთ მათი დაჯგუფება (**Groups by**) არჩეული რეჟიმის მიხედვით.

## კლავიატურის გაცნობა და სამუშაო მაგიდაზე რამოდენიმე ფანჯრის ავტომატური მოწესრიგება

კლავიატურის გაცნობის მიზნით სასტარტო მენიუს საშუალებით რიგ-რიგობით გახსენით **Notepad** და **WordPad** ტექსტური რედაქტორები **Start ⇨ All Programs ⇨ Accessories ⇨ Notepad** (**WordPad**) ბრძანებით და აკრიბეთ თქვენი სახელი და გვარი იმ შრიფტით, რაც ამჟამად დაყენებულია პროგრამაში.

გახსნილი ფანჯრების სხვადასხვა სახით მოწესრიგების მიზნით მაუსის კურსორი მიიყვანეთ ამოცანათა პანელის თავისუფალ ადგილზე და მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილ კონტექსტურ მენიუში რიგ-რიგობით შეარჩიეთ

- **Cascade windows** – ფანჯრების განლაგება კასკადურად;
- **Show windows stacked** – ფანჯრების განლაგება ჰორიზონტალურად მოზაიკურად;
- **Show windows side by side** – ფანჯრების განლაგება ვერტიკალურად მოზაიკურად.

მიმდევრობით დახურეთ ყველა ფანჯარა ☒ **Close** ღილაკზე დაწკაპუნებით.

## ახალი საქაღალდის შექმნა, მისი სახელის შეცვლა და წაშლა. წაშლილი ობიექტის აღდგენა

გახსენით **My Computer** და შემდეგ **C:** დისკოს ფანჯარა. გახსნილ საქაღალდეში შექმენით ახალი საქაღალდე ერთ-ერთი შემდეგი წესის მიხედვით:

- მენიუს **File ⇨ New ⇨ Folder** ბრძანებით;
- ფანჯრის თავისუფალ ადგილზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **New ⇨ Folder** ბრძანებით;
- ნავიგაციური პანელის **New folder** ბრძანებით.

შექმნილ საქაღალდის ნიშანში წაშალეთ **New Folder** სიტყვები, აკრიბეთ ახალი სახელი და დაამოწმეთ **<Enter>** კლავიშით.

საქაღალდის სახელის შესაცვლელად მონიშნეთ საქაღალდე (მაუსით ერთხელ დააწკაპუნეთ საქაღალდეზე) და გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ხერხი:

- მენიუს **File ⇨ Rename** ბრძანება;
- მონიშნულ ობიექტზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **Rename** ბრძანება;
- ნავიგაციური პანელის **Organize** მენიუს **Rename** ბრძანება;
- კლავიატურის **<F2>** კლავიში.

სარჩევიდან საქაღალდის წასაშლელად მონიშნეთ საქაღალდე და გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ხერხი:

- მენიუს **File ⇨ Delete** ბრძანება;
- მონიშნულ ობიექტზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **Delete** ბრძანება;
- ნავიგაციური პანელის **Organize** მენიუს **Delete** ბრძანება;
- კლავიატურის <**Del**> კლავიში.

კომპიუტერის შეკითხვაზე დააწკაპუნეთ დიალოგის ფანჯრის **Yes** ღილაკზე.

საჭიროების შემთხვევაში უკანასკნელი ბრძანების გაუქმება შეგიძლიათ მენიუს **Edit ⇨ Undo** ბრძანებით ან **Organize** მენიუს **Undo** ბრძანებით ან <**Ctrl**>+<**Z**> კლავიშთა კომბინაციით.

ობიექტის წაშლის შემდეგ ეს ობიექტი გადაინაცვლებს სანაგვე კალათაში **Recycle Bin**, საიდანაც შეიძლება მისი აღდგენა რამოდენიმე ხერხით, რისთვისაც გახსენით **Recycle Bin** ფანჯარა და აღსადგენი ობიექტის მონიშვნის შემდეგ შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი ბრძანება:

- მენიუს **File ⇨ Restore** ბრძანება;
- მონიშნულ ობიექტზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **Restore** ბრძანება;
- ნავიგაციური პანელის **Restore this item** ან **Restore the selected items** ბრძანება.

მიმდევრობით დახურეთ ყველა ფანჯარა ☒ **Close** ღილაკზე დაწკაპუნებით.

## სასურველი ინფორმაციის მოძებნა

კომპიუტერში ფაილის ან საქაღალდის მოსაძებნად **Start** მენიუს ან გახსნილი ფანჯრის **Search** ველში ჩაწერეთ საძიებო ობიექტის დასახელება.

## ფაილების გადატანა-კოპირების ბრძანებების შესწავლა.

გახსენით **My Computer** და შემდეგ მიმდევრობით გახსენით **C:** დისკოს და **ALFA** საქაღალდის ფანჯრები. გახსნილ საქაღალდეში მონიშნეთ ერთი ან რამოდენიმე ფაილი შემდეგი წესების გამოყენებით:

- ერთი ობიექტის მოსანიშნად საკმარისია მაუსის მაჩვენებლით ობიექტის ნიშნაკზე ან სახელზე ერთხელ დაწკაპუნება;
- მიმდევრობით განლაგებული რამოდენიმე ობიექტის ერთდროულად მოსანიშნად, ამ ჩამონათვალში მონიშნეთ პირველი ობიექტი, შემდეგ თითი დააჭირეთ <**Shift**> კლავიშს და მაუსი დააწკაპუნეთ ჩამონათვალის ბოლო ობიექტზე;
- ობიექტთა ამორჩევით მოსანიშნად თითი დააჭირეთ <**Ctrl**> კლავიშს და მაუსი რიგ-რიგობით დააწკაპუნეთ მოსანიშნ ობიექტებზე;
- აქტიური ფანჯრის ყველა ობიექტის მოსანიშნად შეასრულეთ მენიუს **Edit ⇨ Select All** ბრძანება ან გამოიყენეთ <**Ctrl**>+<**A**> კლავიშთა კომბინაცია.

ობიექტის ან ობიექტთა ჯგუფის გადატანა ან ასლის მიღება მათი მონიშვნის შემდეგ ხორციელდება ორ ეტაპად: ჯერ ობიექტი ან მისი ასლი უნდა გადაიტანოთ არსებული საქაღალდიდან ბუფერულ (საშუალედო) მეხსიერებაში, ხოლო შემდეგ ბუფერული მეხსიერებიდან გადმოიტანოთ ახალ საქაღალდეში. ობიექტის გადატანა ბუფერულ მეხსიერებაში ხორციელდება **Cut** ბრძანებით, ასლის გადატანა – **Copy** ბრძანებით, ხოლო ბუფერული მეხსიერებიდან ახალ საქაღალდეში – **Paste** ბრძანებით.

მონიშნეთ საჭირო ობიექტები და ობიექტის ან ობიექტთა ჯგუფის გადატანა ან ასლის მიღება შეასრულეთ ქვემოთ მოცემული რამოდენიმე ხერხით:

- მენიუს **Edit ⇨ Cut**, **Edit ⇨ Copy** და **Edit ⇨ Paste** ბრძანებებით;
- ნავიგაციური პანელის **Organize** მენიუს  **Cut**,  **Copy** და  **Paste** ღილაკებით;
- მონიშნულ ობიექტზე მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილი კონტექსტური მენიუს **Cut**, **Copy** და **Paste** ბრძანებებით;
- კლავიშთა **<Ctrl>+<X>** – **Cut**, **<Ctrl>+<C>** – **Copy** და **<Ctrl>+<V>** – **Paste** კომბინაციით;
- თუ სამუშაო მაგიდაზე ერთდროულად გახსნილია ორივე საქაღალდე, მაშინ ეს ოპერაცია შეგიძლიათ შეასრულოთ ბუფერული მეხსიერების გამოყენების გარეშე: გადატანა – მაუსის მარცხენა კლავიშით ობიექტის "გადათრევით" და ასლის მიღება – **<Ctrl>** და მაუსის მარცხენა კლავიშებით ობიექტის "გადათრევით";

მიმდევრობით დახურეთ ყველა ფანჯარა ☒ **Close** ღილაკზე დაწკაპუნებით.

## ლაბორატორიული სამუშაო № 2

### სამუშაო მაგიდაზე ახალი იარლიყების განთავსება და მათთან მუშაობა

გახსენით **My Computer** და შემდეგ მიმდევრობით გახსენით **C:** დისკოს და **ALFA** საქაღალდის ფანჯრები. დახურეთ **My Computer** და **C:** დისკოს ფანჯრები, ხოლო **ALFA** საქაღალდის ფანჯრის ზომები დააყენეთ ისე, რომ ჩანდეს სამუშაო მაგიდის თავისუფალი არე.

მიიყვანეთ კურსორი ფანჯარაში განთავსებულ რომელიმე ფაილთან. დააჭირეთ ხელი მაუსის მარჯვენა კლავიშს და ხელის აუღებლად წაიღეთ სამუშაო მაგიდაზე. ობიექტის "გადათრევის" შემდეგ მაუსის მაჩვენებლის გვერდით გახსნილ კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ **Create Shortcuts Here** ბრძანება და სამუშაო მაგიდაზე შეიქმნება მონიშნული ობიექტის იარლიყი.

იარლიყის შექმნა აგრეთვე, შეიძლება ობიექტის მონიშვნის შემდეგ მენიუს **File ⇨ Send To ⇨ Desktop (create shortcut)** ბრძანებით ან ამ ობიექტზე მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილი კონტექსტური მენიუს **Send To ⇨ Desktop (create shortcut)** ბრძანებით.

დახურეთ საქაღალდის ფანჯარა.

იარლიყის სახელის შესაცვლელად გამოიყენეთ ობიექტისათვის სახელის შეცვლის ზემოთ შესწავლილი ერთ-ერთი მეთოდი, ხოლო იარლიყის ნახატის შესაცვლელად იარლიყზე მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილ კონტექსტურ მენიუში შეარჩიეთ **Properties** ბრძანება.

გახსნილი ფანჯრის **Shortcut** ან **Program** ჩანართში დააწკაპუნეთ **Change Icon** ღილაკზე, შეარჩიეთ სასურველი ნახატი და გადაწყვეტილება დაამოწმეთ **OK** ღილაკით.

წაშალეთ იარლიყი მაგიდიდან ობიექტის წაშლის ერთ-ერთი ხერხით.

### Windows-ის სამუშაო მაგიდის გაფორმებისა და დამცავი ფარდის რეჟიმების შეცვლა

**Windows**-ის სამუშაო მაგიდის გაფორმებისა და დამცავი ფარდის რეჟიმების შეცვლა შესაძლებელია მართვის პანელის (**Control Panel**) ფანჯარაში  – **Hardware and Sound ⇨**  **Display** (თემატური მართვის პანელის შემთხვევაში) ან  **Display** (კლასიკური მართვის პანელის შემთხვევაში) - ნიშნაკზე მაუსით ორჯერ დაწკაპუნებით ან სამუშაო მაგიდის ცარიელ ადგილზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **Personalization** ბრძანებით.

ეკრანის ფონის შერჩევის მიზნით გახსნილ ფანჯარაში შეარჩიეთ შესაბამისი თემა ან სურათი. იგივე ოპერაციის შესასრულებლად მაუსით დავაწკაპუნოთ **Desktop Background** ღილაკზე. გახსნილი ფანჯრიდან ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი თემა ან სურათი და **Picture posicion** ველის სიის საშუალებით იგი განათავსეთ მთელ ეკრანზე (**Fill**), სურათის ზომის შესაბამისად (**Fit**), მთელ ეკრანზე გადაჭიმული (**Stretch**) სახით, მოზაიკურად (**Tile**) ან ეკრანის ცენტრში (**Center**).

დამცავი ფარდის შერჩევა და მისი პარამეტრების მომართვა ხდება იმავე ფანჯრის **Screen Saver** ღილაკით. გახსნილ ფანჯარაში **Screen Saver** ველში მაუსისა და ჩამოშლის ისრის საშუალებით. მოცემულ ჩანართში გვხვდება დამცავი ფარდის შემდეგი ტიპები:

- **3D Text** – სამგანზომილებიანი ტექსტი;
- **Blank** – ”შავი ფარდა”;
- **Bubbles** – საპნის ბუშტები;
- **Mystify** – მისტიფიკაცია;
- **Photos** – სურათების სლაიდები;
- **Ribbons** – ფირები, ლენტები.

**Wait** ველში უნდა დააყენოთ კომპიუტერის მოცდენის დრო, რომლის შემდეგაც ჩაირთვება დამცავი ფარდა.



ყველა ტიპის დამცავ ფარდას აქვს სხვადასხვა პარამეტრები, რომელთა მომართვა ხდება **Setting** ღილაკის მეშვეობით, ხოლო მიღებული შედეგის დათვალიერება კი **Preview** ღილაკით.

მიღებული გადაწყვეტილების დამოწმება ხდება **OK** ღილაკით, თუ მოცემულ ფანჯარასთან დაამთავრეთ მუშაობა ან **Apply** ღილაკით, თუ მოცემულ ფანჯარასთან ისევ აგრძელებთ მუშაობას.

## ამოცანათა პანელისა და სასტარტო მენიუს მომართვა

ამოცანათა პანელისა და სასტარტო მენიუს მომართვა შესაძლებელია მართვის პანელის (**Control Panel**) ფანჯარაში – **Appearance and Personalization** ⇨ – **Taskbar and Start Menu** (თემატური მართვის პანელის შემთხვევაში) ან – **Taskbar and Start Menu** (კლასიკური მართვის პანელის შემთხვევაში) – ნიშნაკზე მაუსით ორჯერ დაწკაპუნებით ან ამოცანათა პანელის ცარიელ ადგილზე გახსნილი კონტექსტური მენიუს **Properties** ბრძანებით.

გახსნილი **Taskbar and Start Menu Properties** ფანჯრის **Taskbar** ჩანართის **Taskbar appearance** ველს აქვს შემდეგი პუნქტები:

- **Lock the taskbar** – მონიშვნის მოხსნით ჩაირთვება ამოცანათა პანელის შემადგენელი ნაწილების გამყოფი ზოლები, რომლის გადაადგილებითაც შეიძლება ამ ნაწილების ზომების შეცვლა;
- **Auto-hide the taskbar** – მონიშვნით ჩაირთვება ამოცანათა პანელის ავტომატური დამალვის რეჟიმი;
- **Use small icons** – ამოცანათა პანელზე გამოიტანოს პატარა ნიშნაკები.

**Taskbar location on screen** - ჩამოშლად ველში შეიძლება შევარჩიოთ ამოცანათა პანელის მდებარეობა ეკრანზე (**Bottom** - ეკრანის ქვედა, **Left** - მარცხენა, **Right** - მარჯვენა და **Top** - ზედა ნაწილში). **Taskbar buttons** - ჩამოშლად ველში ამოცანათა პანელზე განთავსებული ღილაკების რეჟიმებს ვარჩევთ.

**Taskbar and Start Menu Properties** ფანჯრის **Start Menu** ჩანართის საშუალებით სასტარტო მენიუს მოწყობაა შესაძლებელი. ამისათვის, **Customize** ღილაკი უნდა გამოვიყენოთ. გაიხსნება შესაბამისი **Customize Start Menu** ფანჯარა, რომელშიც ავირჩიოთ სასტარტო მენიუში განსათავსებელი ობიექტები.

## ლაბორატორიული სამუშაო № 3
## ტექსტის აკრებვა და დაფორმატება

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნის წინ პირველ რიგში უნდა მოხდეს ფურცლის პარამეტრების მომართვა. ამ ოპერაციის განხორციელება შეიძლება **Page Layout** მენიუს **Page Setup** და **Page Background** ქვემენიუს ღილაკების საშუალებით. ფურცლის პარამეტრების მომართვის მიზნით **Page Layout** მენიუს **Page Setup** ქვემენიუში  ისარზე მაუსის დაწკაპუნებით გახსენით **Page Setup** დიალოგური ფანჯარა:




ამ დიალოგური ფანჯრის **Margins** ჩანართიდან ფურცლის მინდვრის ზომებისა და მისი ორიენტაციის დაფორმატება ხდება. **Margins** ველში საჭირო მნიშვნელობების ჩაწერის გზით შეგვიძლია შევარჩიოთ ჩვენთვის საჭირო მინდვრის ზომები: **Top** - ზედა, **Bottom** - ქვედა, **Left** - მარცხენა, **Right** - მარჯვენა, აგრეთვე დოკუმენტის აკინძვისათვის საჭირო ველის ზომისა და ადგილის განსაზღვრა, **Gutter** - ასაკინძი ველის ზომა, **Gutter position** - აკინძვის პოზიცია (დოკუმენტი შეიძლება აიკინძოს **Left** - მარცხენა მხრიდან ან **Top** - ზემოდან). იგივე ოპერაცია შეიძლება შესრულდეს **Page Setup** ქვემენიუს **Margins** ღილაკით ჩამოშლილ სიაში ჩვენთვის მისაღები მნიშვნელობების შერჩევის გზით. თუ ამ სიაში

ავირჩევთ **Custom Margins** ბრძანებას, მაშინ ისევ **Page Setup** დიალოგური ფანჯრის **Margins** ჩანართი გაიხსნება.

**Pages** ველის **Multiple pages** ჩამოშლად ფანჯარაში მრავალგვერდა დოკუმენტისათვის ფურცლებზე ტექსტის განლაგების რეჟიმი უნდა შეირჩეს: **Normal** - ნორმალური; **Mirror margins** - სარკისებური (ამ დროს **Margins** ველში მინდორი **Left** იცვლება **Inside**-ით - ფურცლის შიგა მხარე, ხოლო **Right** - **Outside**-ით - ფურცლის გარე მხარე); **2 pages per sheet** - ორი გვერდი ერთ ფურცელზე და **book fold** - ნაკეცი წიგნის სტილში (ამ დროს ფურცლის ორიენტაცია აუცილებლად პეიზაჟის სტილის უნდა იყოს, თუ არ არის მაშინ ეს ცვლილება ავტომატურად განხორციელდება, ხოლო **Margins** ველში იგივე ცვლილება ხდება რაც **Mirror margins**-ის შემთხვევაში).

**Page Setup** დიალოგური ფანჯრის **Margins** ჩანართის **Orientation** ველიდან ფურცლის ორიენტაცია განისაზღვრება: **Portrait** - პორტრეტის სტილი და **Landscape** - პეიზაჟის სტილი. ფურცლის ორიენტაცია აგრეთვე **Page Setup** ქვემენიუს **Orientation** ღილაკითაც განისაზღვრება.

**Margins** ჩანართის **Orientation** ველში ავირჩიოთ ფურცლის სასურველი ორიენტაცია, ხოლო თუ გვსურს დოკუმენტის ცალკეულ ფურცელს ან პარაგრაფს ან აბზაცს შევუცვალოთ ორიენტაცია, მაშინ მოვნიშნოთ დოკუმენტის ეს ნაწილი და **Page Setup** დიალოგური ფანჯრის **Apply to** ველში ავირჩიოთ **Selected text** მნიშვნელობა. **Word**-ი მონიშნულ ტექსტს გადაანაცვლებს ახალ ფურცელზე და ახლოსმდგომ ტექსტს ცალკეულ ფურცლებზე.

ამ ფანჯრის **Paper** ჩანართიდან ფურცლის ზომების შერჩევა ხდება, კერძოდ **Paper Size** ველის ჩამოშლად ფანჯარაში ფურცლის სტანდარტულ ზომებს (**Letter**, **Tabloid**, **Ledger**, **Legal**, **A3**, **A4**, **A5** და სხვა) შორის ჩვენთვის სასურველი ზომები შეგვიძლია შევარჩიოთ ან სრულიად განსხვავებული ზომა (**Custom size**) მივანიჭოთ. იგივე ოპერაცია სრულდება **Page Setup** ქვემენიუს **Size** ღილაკით. თუ ჩამოშლილ სიაში ავირჩევთ **More Paper Sizes** ბრძანებას, მაშინ ისევ **Page Setup** დიალოგური ფანჯრის **Paper** ჩანართი გაიხსნება. თუ მაუსით დავაწკაპუნებთ **Print Options** ღილაკზე, მაშინ გაიხსნება **Word Options** ფანჯრის **Display** ჩანართი, სადაც **Printing Options** ველში დოკუმენტის ბეჭდვისათვის განკუთვნილ ჩვენთვის მისაღებ პარამეტრებს ავარჩევთ.

**Page Setup** ფანჯრის **Layout** ჩანართის **Section** ველის საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ სექციის დასაწყისი, იქნება იგი ახალი გვერდი, ახალი სვეტი, კენტი თუ ლუწი გვერდი ან პირდაპირ გაგრძელდეს მოცემული დოკუმენტი.

თუ მომხმარებელს სურს დოკუმენტში გადანომროს სტრიქონები, მაშინ იგივე ქვემენიუს **Line Numbers** ღილაკი უნდა გამოიყენოს. ჩამოიშლება ფანჯარა, სადაც თუ აირჩევს **Continuous** ბრძანებას, მაშინ მთელი დოკუმენტის მიმდევრობით გადანომვრა მოხდება; **restart each page** ბრძანებით მოხდება ყოველი გვერდის ხელახლა გადანომვრა; **restart each section** ბრძანებით - ხელახლა გადაინომრება ყოველი სექცია; **Suppress for**

**Current Paragraph** ბრძანებით ნომრები მოეხსნება მიმდინარე აბზაცს, ხოლო **None** ბრძანებით კი მთელ დოკუმენტს. **Line Numbering Options** ბრძანებით გაიხსნება **Page Setup** ფანჯრის **Layout** ჩანართი. თუ მაუსით დავაწკაპუნებთ **Line Numbers** ღილაკზე, მაშინ გაიხსნება იმავე სახელწოდების დამატებითი დიალოგური ფანჯარა, რომლის საშუალებითაც შეიძლება სტრიქონთა გადანომვრის პარამეტრების მომართვა.




აკრიბეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი ახალ დოკუმენტში. ქართული ტექსტის ასაკრებად გამოიყენეთ შრიფტი **AcadNusx** (**ცად უსხ**), ხოლო ინგლისური ტექსტისათვის - **Time New Roman**, ან შრიფტი **Sylfaen** და ქართული ტექსტის ასაკრებად ამოცანათა პანელზე ენის გადამრთველი გადართეთ **KA** - **Georgian**-ზე, ხოლო ინგლისური ტექსტისათვის **- EN - English**-ზე. შრიფტის ზომა **12**. ამ დავალების შესრულება შესაძლებელია **Home** მენიუს **Font** ქვემენიუში განთავსებული **Font** და **Font Size** ველების საშუალებით.

პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
მიკროპროცესორი - Microprocessor;
ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
დედაპლატა - Motherboard;
მყარი დისკი - Hard disk drive;
კლავიატურა - Keyboard;
ოპტიკური დისკი - Optical disc;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

აკრებილი ტექსტი, ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი წესის გამოყენებით, თხუთმეტჯერ გაამრავლეთ:

- **Home** მენიუს **Clipboard** ქვემენიუს ღილაკების **Copy** (მონიშნული ფრაგმენტის კოპირება ბუფერში) და **Paste** (ბუფერიდან ფრაგმენტის ჩასმა დოკუმენტში) გამოყენებით;
- მონიშნულ ფრაგმენტზე მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილი კონტექსტური მენიუს **Copy** (ფრაგმენტის კოპირება ბუფერში) და **Paste** (ბუფერიდან ფრაგმენტის ჩასმა დოკუმენტში) ბრძანებების გამოყენებით;

- კლავიშთა კომბინაციის **<Ctrl>+<C>** (მონიშნული ფრაგმენტის კოპირება ბუფერში) და **<Ctrl>+<V>** (ბუფერიდან ფრაგმენტის ჩასმა დოკუმენტში) გამოყენებით.

ფრაგმენტის ჩასმა მოხდება იმ ადგილას, სადაც დგას კურსორის მაჩვენებელი, ამიტომ ბუფერიდან ფრაგმენტის ჩასმის დროს კურსორი წინასწარ უნდა დავაყენოთ სასურველ ადგილას.

მიღებული დოკუმენტი შეინახეთ თქვენ საქაღალდეში (ფოლდერი) **File** მენიუს **Save** ბრძანებით ან სწრაფი მართვის ინსტრუმენტების პანელზე განთავსებული  **Save** ღილაკის საშუალებით.

ყოველივე ამის შემდეგ ხუთი რვა სტრიქონიანი ჯგუფის ტექსტის დაფორმატება მოახდინეთ.

შრიფტის დაფორმატების მიზნით **Home** მენიუს **Font** ქვემენიუში  ისარზე მაუსის დაწკაპუნებით ან **<Ctrl>+<Shift>+<F>** ან **<Ctrl>+<Shift>+<P>** კლავიშთა კომბინაციით გაიხსნება დიალოგური ფანჯარა.




ამ დიალოგური ფანჯრის **Font** ჩანართიდან ხდება მონაცემთა შრიფტის დაფორმატება. შესაბამის ველებში საჭირო პარამეტრების დაყენების გზით შეგვიძლია შევარჩიოთ ჩვენთვის საჭირო **Font** - შრიფტი, **Font style** - შრიფტის სტილი, **Size** - ზომა, **Font color** - შრიფტის ფერი, **Underline style** - ხაზგასმის ტიპი, **Underline color** - ხაზგასმის ფერი, ხოლო **Effects** ველში შეგვიძლია ავირჩიოთ შრიფტების სხვადასხვა ეფექტები:

**Strikethrough** - ხაზგადასმული, **Double strikethrough** - ორხაზგადასმული, **Superscript** - ზედა ინდექსი, **Subscript** - ქვედა ინდექსი, **Small caps** - პატარა ზომის მთავრული ასოები (ლათინური და რუსული შრიფტისათვის), **All caps** - ყველა ასოები ასომთავრულით და **Hidden** - დამალული.

შრიფტის დაფორმატების ზოგიერთი ოპერაცია შეიძლება **Home** მენიუს **Font** ქვემენიუს შესაბამისი ღილაკების დახმარებით განვახორციელოთ. ესენია: (**Bold**) - გამუქებული სიმბოლოები, იგივე ოპერაცია შეიძლება <Ctrl>+<B> კლავიშთა კომბინაციითაც შესრულდეს, (**Italic**) - დახრილი სიმბოლოები ან <Ctrl>+<I> კლავიშთა კომბინაცია, (**Underline**) - ხაზგასმული სიმბოლოები ან <Ctrl>+<U> კლავიშთა კომბინაცია, ხოლო თუ მის ისარზე დავაწკაპუნებთ მაუსს, მაშინ ჩამოიშლება სია, სადაც ხაზის სტილის შერჩევაც შეიძლება. (**Strikethrough**) - ხაზგადასმული, (**Superscript**) - ზედა ინდექსი ან <Ctrl>+<Shift>+<+> კლავიშთა კომბინაცია, (**Subscript**) - ქვედა ინდექსი ან <Ctrl>+<=> კლავიშთა კომბინაცია, (**Text Highlight Color**) - ტექსტის მონიშვნა არჩეული ფერით, (**Font Color**) - შრიფტის ფერის შერჩევა, (**Grow Font**) - შრიფტის ზომის ერთი ზომით გაზრდა, იგივეს განვახორციელებთ <Ctrl>+< >> კლავიშთა კომბინაციით, (**Shrink Font**) _ შრიფტის ზომის ერთი ზომით შემცირება, ან <Ctrl>+<< > კლავიშთა კომბინაციით, (**Text Effects**) - ტექსტზე სხვადასხვა ეფექტების განხორციელება (**Shadow** - ჩრდილიანი, **Outline** - კონტურშემოვლებული, **Reflection** - ანარეკლი, **Glow** - გამონათებული).

შეცვალეთ შრიფტის ზომა **Font Size** ველის დახმარებით მეორე ჯგუფისათვის - 11, მესამე ჯგუფისათვის - 10, მეოთხე ჯგუფისათვის - 14, ხოლო მეხუთესათვის - 12). ასევე, გამოიყენეთ შრიფტის შესაბამისი ეფექტები, გადამრთველები და ბრძანებები:

დაფორმატების შემდეგ ტექსტმა უნდა მიიღოს შემდეგი სახე:

პერსონალური კომპიუტერი - **Personal computer;**
*მიკროპროცესორი* - ***~~Microprocessor;~~***
ოპერატიული მეხსიერება - ***Random-access memory;***
*დედაპლატა* - ***~~Motherboard;~~***
მყარი დისკი - **Hard disk drive;**

კლავიატურა - **Keyboard;**
ოპტიკური დისკი - Optical disc;
მონიტორი - **$E_1$. Display, $E_2$. Monitor.**

პერსონალური კომპიუტერი - **PERSONAL COMPUTER;**
~~მიკროპროცესორი - **Microprocessor;**~~
*ოპერატიული მეხსიერება - **Random-access memory;***
დედაპლატა - **Motherboard**;
*მყარი დისკი - **Hard disk drive;***
კლავიატურა - **Keyboard**;
~~ოპტიკური დისკი - **Optical disc;**~~
მონიტორი - **$E^1$. Display, $E^2$. Monitor.**

*პერსონალური კომპიუტერი - **Personal computer;***
*მიკროპროცესორი - **Microprocessor;***
*ოპერატიული მეხსიერება - **Random-access memory;***
*დედაპლატა - **Motherboard;***
*მყარი დისკი -  **Hard disk drive;***
*კლავიატურა - **Keyboard;***
*ოპტიკური დისკი - **Optical disc;***
*მონიტორი - **E1. Display, E2. Monitor.***

~~პერსონალური კომპიუტერი – Personal computer;~~
~~მიკროპროცესორი – Microprocessor;~~
~~ოპერატიული მეხსიერება – Random-access memory;~~
~~დედაპლატა – Motherboard;~~
~~მყარი დისკი – Hard disk drive;~~
~~კლავიატურა - Keyboard;~~
~~ოპტიკური დისკი - Optical disc;~~

~~მონიტორი – E1. Display, E2. Monitor.~~

პერსონალური კომპიუტერი - **Personal computer;**
მიკროპროცესორი - **Microprocessor;**
ოპერატიული მეხსიერება - **Random-access memory;**
დედაპლატა - **Motherboard;**
მყარი დისკი -  **Hard disk drive;**
კლავიატურა - **Keyboard;**
ოპტიკური დისკი - **Optical disc;**
მონიტორი - **E1. Display, E2. Monitor.**

# სიის მარკირება და დანომრვა

ეხლა განახორციელეთ კოპირებული ათი  რვა სტრიქონიანი ჯგუფის და მარკირება და დანომრვა ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით. სიის მარკირებისათვის გამოიყენება **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული  **Bullets** ღილაკი, ხოლო დანომრვისათვის იმავე ქვემენიუს  **Numbering** ღილაკი. აქ ჩამოშლილ მენიუში შეგიძლია მარკირებისა და დანომრვის სასურველი სტილი აირჩიოთ. როდესაც დიალოგურ ფანჯარაში სასურველი მარკერი არ არის, მაშინ ჩამოშლილ მენიუში ავირჩიოთ შესაბამისად ბრძანება **Define New Bullet**. გაიხსნება დამატებითი ფანჯარა. ამ დამატებითი ფანჯრის **Font**, **Symbol** და **Picture** ღილაკებით სასურველი მარკერის შერჩევა და ამ მარკერის ფორმატის განსაზღვრაა შესაძლებელი. თუ გადანომვრის სტილის შეცვლაა საჭირო, მაშინ ჩამოშლილ მენიუში **Define New Number Format** ბრძანება უნდა ავირჩიოთ. გახსნილ დიალოგური ფანჯრის **Number Style** ველში გადანომვრის სტილი შევარჩიოთ, ხოლო **Number Format** ველში მისი ფორმატი განვსაზღვროთ.







- პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
- მიკროპროცესორი - Microprocessor;
- ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
- დედაპლატა - Motherboard;
- მყარი დისკი -  Hard disk drive;
- კლავიატურა - Keyboard;
- ოპტიკური დისკი - Optical disc;
- მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

- ✓ პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
- ✓ მიკროპროცესორი - Microprocessor;
- ✓ ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
- ✓ დედაპლატა - Motherboard;
- ✓ მყარი დისკი - Hard disk drive;
- ✓ კლავიატურა - Keyboard;
- ✓ ოპტიკური დისკი - Optical disc;
- ✓ მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

- ❖ პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
- ❖ მიკროპროცესორი - Microprocessor;
- ❖ ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
- ❖ დედაპლატა - Motherboard;
- ❖ მყარი დისკი - Hard disk drive;
- ❖ კლავიატურა - Keyboard;
- ❖ ოპტიკური დისკი - Optical disc;
- ❖ მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

- ☎ პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
- ☎ მიკროპროცესორი - Microprocessor;
- ☎ ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
- ☎ დედაპლატა - Motherboard;
- ☎ მყარი დისკი - Hard disk drive;
- ☎ კლავიატურა - Keyboard;
- ☎ ოპტიკური დისკი - Optical disc;
- ☎ მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

- პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
- მიკროპროცესორი - Microprocessor;
- ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
- დედაპლატა - Motherboard;
- მყარი დისკი - Hard disk drive;
- კლავიატურა - Keyboard;
- ოპტიკური დისკი - Optical disc;
- მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

1. პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
2. მიკროპროცესორი - Microprocessor;
3. ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
4. დედაპლატა - Motherboard;
5. მყარი დისკი - Hard disk drive;
6. კლავიატურა - Keyboard;
7. ოპტიკური დისკი - Optical disc;
8. მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

I. პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
II. მიკროპროცესორი - Microprocessor;
III. ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
IV. დედაპლატა - Motherboard;
V. მყარი დისკი - Hard disk drive;
VI. კლავიატურა - Keyboard;
VII. ოპტიკური დისკი - Optical disc;
VIII. მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

**A.** პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
**B.** მიკროპროცესორი - Microprocessor;
**C.** ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
**D.** დედაპლატა - Motherboard;
~~**E.**~~ მყარი დისკი - ~~Hard disk drive;~~
**F.** კლავიატურა - Keyboard;
**G.** ოპტიკური დისკი - Optical disc;
**H.** მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

a) პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
b) მიკროპროცესორი - Microprocessor;
***c)*** ოპერატიული მეხსიერება - <u>***Random-access memory;***</u>
d) დედაპლატა - Motherboard;
e) მყარი დისკი - Hard disk drive;
f) კლავიატურა - Keyboard;
g) ოპტიკური დისკი - Optical disc;
h) მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

1st. პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
2nd. მიკროპროცესორი - Microprocessor;
3rd. ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
4th. დედაპლატა - Motherboard;
5th. მყარი დისკი - Hard disk drive;
6th. კლავიატურა - Keyboard;
7th. ოპტიკური დისკი - Optical disc;
8th. მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

*One.* პერსონალური კომპიუტერი - Personal computer;
*Two.* მიკროპროცესორი - Microprocessor;
*Three.* ოპერატიული მეხსიერება - Random-access memory;
*Four.* დედაპლატა - Motherboard;
*Five.* მყარი დისკი - Hard disk drive;
*Six.* კლავიატურა - Keyboard;
*Seven.* ოპტიკური დისკი - Optical disc;
*Eight.* მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

მარკირებისა და გადანომრვის გაუქმების მიზნით **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული  **Bullets** ღილაკი ან  **Numbering** ღილაკი ამორთეთ.

## ტექსტისა და დოკუმენტის გაფორმება ჩარჩოთი და ფონით

ტექსტის ჩარჩოთი და ფონით გაფორმებისათვის მეექვსე დავალების პირველ ნაწილში მიღებული ტექსტის იმავე დოკუმენტში ახალი გვერდიდან ხუთჯერ კოპირება მოახდინეთ. დოკუმენტის მიღებულ ფრაგმენტში განახორციელეთ თითოეული რვა სტრიქონიანი ჯგუფის ჩარჩოთი და ფონით გაფორმება ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით. ჩარჩოთი გაფორმებისათვის გამოიყენება **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული **Bottom Border** ღილაკით ჩამოშლილ მენიუში **Borders and Shading** ბრძანება. იმავე სახელწოდების დიალოგური ფანჯრის **Borders** ჩანართი გაიხსნება (**Setting** ველში ჩარჩოს სტილის შერჩევა ხდება: **Box** – ყუთის სტილის, **Shadow** – ჩრდილიანი, **3-D** – სამგანზომილებიანი და **Custom** – მომხმარებლის სურვილით შექმნილი ჩარჩოა; **Style** ველში – ხაზის სტილის, **Color** ველში – ხაზის ფერის, **Width** ველში – ხაზის სისქის შერჩევა ხდება), ხოლო ფონით გაფორმებისათვის იმავე ფანჯრის **Shading** ჩანართი (**Fill** ველში – ფონის ფერი; **Patterns** ველის **Style** ჩამოშლად ველში დაწინწკვლის ან დაშტრიხვის სტილი და **Color** – ფერი) გამოიყენება. **Page layout** მენიუს **Page Background**

ქვემენიუს **Page Border** ღილაკით იგივე დიალოგური ფანჯრის **Page Border** ჩანართი გაიხსნება, რომლითაც ფურცლის ჩარჩოში ჩასმა შეიძლება და რომლის ძირითადი ველები **Borders** ჩანართის ველებს ემთხვევა. დამატებით ამ ჩანართს აქვს **Art** ჩამოშლადი ველი, საიდანაც შეიძლება ჩარჩოს სხვა სტილებიც შეირჩეს. ამასთან, **Apply to** ველში შეიძლება შეირჩეს დოკუმენტის ჩარჩოში ჩასასმელი ნაწილი: **Whole document** – მთელი დოკუმენტი; **This section** – მოცემული სექტორი; **This section** – **First page only** – მოცემული სექტორის მხოლოდ პირველი გვერდი და **This section** – **All except firs page** – მოცემული სექტორის ყველა გვერდი პირველის გარდა.




ჩარჩოების გაუქმების მიზნით მონიშნეთ დოკუმენტის მიღებული ფრაგმენტი და **Borders and Shading** დიალოგური ფანჯრის **Borders** ჩანართის **Setting** ველში მონიშნეთ **None**, ხოლო ფონის გასაუქმებლად იმავე ფანჯრის **Shading** ჩანართის **Fill** ველში – **No Fill** და **Patterns** ველის **Style** ჩამოშლად ველში **Clear**. ფურცლის ჩარჩოს მოხსნის მიზნით იმავე დიალოგური ფანჯრის **Page Border** ჩანართშიც **Setting** ველში მონიშნეთ **None**.

ჩემი კომპიუტერი - My Computer;
სამუშაო მაგიდა - Desktop;
ვინდოუსის მეგზური - Windows Explorer;
პიქტოგრამა - Icon;
მაიკროსოფტ ვორდი 2010 – Microsoft Word 2010;
ამოცანათა პანელი - Taskbar;
სანაგვე კალათა - Recycle Bin;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

ჩემი კომპიუტერი - My Computer;
სამუშაო მაგიდა - Desktop;
ვინდოუსის მეგზური - Windows Explorer;
პიქტოგრამა - Icon;
მაიკროსოფტ ვორდი 2010 – Microsoft Word 2010;
ამოცანათა პანელი - Taskbar;
სანაგვე კალათა - Recycle Bin;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

ჩემი კომპიუტერი - My Computer;
სამუშაო მაგიდა - Desktop;
ვინდოუსის მეგზური - Windows Explorer;
პიქტოგრამა - Icon;
მაიკროსოფტ ვორდი 2010 – Microsoft Word 2010;
ამოცანათა პანელი - Taskbar;
სანაგვე კალათა - Recycle Bin;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

ჩემი კომპიუტერი - My Computer;
სამუშაო მაგიდა - Desktop;
ვინდოუსის მეგზური - Windows Explorer;
მაიკროსოფტ ვორდი 2010 – Microsoft Word 2010;
ამოცანათა პანელი - Taskbar;
სანაგვე კალათა - Recycle Bin;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

ჩემი კომპიუტერი - My Computer;
სამუშაო მაგიდა - Desktop;
ვინდოუსის მეგზური - Windows Explorer;
პიქტოგრამა - Icon;
მაიკროსოფტ ვორდი 2010 – Microsoft Word 2010;
ამოცანათა პანელი - Taskbar;
სანაგვე კალათა - Recycle Bin;
მონიტორი - E1. Display, E2. Monitor.

## ლაბორატორიული სამუშაო № 4
## ტექსტის სწორებისა და აბზაცების დაფორმატება

გახსენით **Word**-ის ახალი  დოკუმენტი და აკრიფეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. მოახდინეთ მიღებული ტექსტის კოპირება ახალი გვერდიდან და მოახდინეთ ტექსტის სწორება და აბზაცების დაფორმატება ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

საქართველო

**საქართველო** სახელმწიფოა ევრაზიაში, კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი ესაზღვრება. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

**თბილისი** (1936 წლამდე *ტფილისი*) საქართველოს დედაქალაქია; 1922–1936 წლებში ერთდროულად ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქიც იყო; იგი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე მდებარეობს; ჩრდილოეთით მას საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით - ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი - თრიალეთის ქედის განშტოებები ესაზღვრება. ქალაქს 720 კმ² ფართობი უჭირავს და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

ლეგენდის თანახმად, თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, ქართველ მეფეს (ერთ-ერთი ვარიანტით, ვახტანგ გორგასალს) ნადირობის დროს შველი დაუჭრია, შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვარიანტით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო მეფეს ტყე გაუკაფავს და ქალაქი გაუშენებია. ქალაქს „თბილისი“ - „თბილი“ (ძვ. ქართულად „ტფილი“) მინერალური წყაროების გამო უწოდეს. შემდგომში ამ ადგილზე გოგირდის აბანოები გაშენდა. აღნიშნული ადგილი თბილისის ისტორიული უბანი - აბანოთუბანია.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ყოფილა დასახლებული. IV საუკუნის II ნახევარის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის - პიტიახშის რეზიდენცია გახდა. V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი ქალაქის დამაარსებლადაა მიჩნეული. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის

მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის დაფუძნების ნაცვლად მის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი.

აბზაცის დაფორმატება როგორც სახაზავზე განთავსებული ისრების საშუალებით, ასევე **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში ისარზე მაუსის დაწკაპუნებით გახსნილი დიალოგური **Paragraph** ფანჯრიდანაც შეიძლება. ამ ფანჯრის **Indents and Spacing** ჩანართის **Indentation** ველის **Special** ჩამონათვალში ავირჩიოთ აბზაცის პირველი სტრიქონის გვერდის მინდვრიდან დაცილების რეჟიმი, მანძილი კი **By** პარამეტრის მითითებით განვსაზღვროთ. **Left** და **Right** გადამრთველებით შეგვიძლია ფურცლის მინდვრიდან ტექსტის დაცილების ინტერვალი დავაყენოთ. იგივე ოპერაციის შესრულება შეიძლება **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში განლაგებული - **Decrease Indent**, - **Increase Indent** ღილაკების საშუალებით ან **Page Layout** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში **Indent** ჩანართში განლაგებული - **Left**, - **Right** გადამრთველების საშუალებით.

ამ ჩანართის **General** ველის **Alignment** ჩამონათვალში შეგვიძლია ავირჩიოთ ტექსტის სწორების რეჟიმი **Left** - მარცხენა საზღვრის მიმართ, **Right** - მარჯვენა საზღვრის მიმართ, **Center** - ცენტრის მიმართ და **Justify** - ტექსტის სწორება ორივე საზღვრის მიმართ სიტყვებს შორის არსებული ინტერვალის გაზრდის ხარჯზე. აღნიშნული რეჟიმების დაყენება აგრეთვე **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში განლაგებული ღილაკების საშუალებით ან კლავიშთა კომბინაციითა შესაძლებელი - **Align Text Left** (**<Ctrl>+<L>**) - ტექსტის სწორება მარცხენა კიდის მიმართ, - **Center** (**<Ctrl>+<E>**) - ტექსტის სწორება ცენტრში, - **Align Text Right** (**<Ctrl>+<R>**) - ტექსტის სწორება მარჯვენა კიდის მიმართ და - **Justify** (**<Ctrl>+<J>**) - ტექსტის სწორება ორივე კიდის მიმართ.

**Spacing** ველის **Line Spacing** ჩამონათვალის **At** პარამეტრის მითითებით შეიძლება ინტერვალი (**Single** - 1 ინტერვალი, **1,5 lines** - 1,5 ინტერვალი, **Double** - 2 ინტერვალი და ა. შ.) დავაფიქსიროთ სტრიქონებს შორის. ანალოგიური ქმედება შეიძლება შევასრულოთ **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში მოთავსებული - **Line Spacing** ღილაკის საშუალებით; აბზაცებს შორის მანძილი კი **Before** და **After** პარამეტრების ან **Page Layout** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში **Spacing** ჩანართში განლაგებული **Before** და **After** გადამრთველების საშუალებით შეიძლება დავაყენოთ.

მინდვრიდან დაცილება პირველი აბზაცისათვის - 2 სმ, მეორე აბზაცისათვის - 0 სმ, მეოთხე აბზაცისათვის - 4 სმ, ხოლო მეხუთესათვის - 1,5 სმ).

**საქართველო**

**საქართველო** სახელმწიფოა ევრაზიაში, კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი ესაზღვრება. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

**თბილისი** (1936 წლამდე *ტფილისი*) საქართველოს დედაქალაქია; 1922–1936 წლებში ერთდროულად ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქიც იყო; იგი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე მდებარეობს; ჩრდილოეთით მას საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით - ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი - თრიალეთის ქედის განშტოებები ესაზღვრება. ქალაქს 720 კმ² ფართობი უჭირავს და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

ლეგენდის თანახმად, თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, ქართველ მეფეს (ერთ-ერთი ვარიანტით, ვახტანგ გორგასალს) ნადირობის დროს შველი დაუჭრია, შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვარიანტით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო მეფეს ტყე გაუკაფავს და ქალაქი გაუშენებია. ქალაქს „თბილისი“ - „თბილი“ (ძვ. ქართულად „ტფილი“) მინერალური წყაროების გამო უწოდეს. შემდგომში ამ ადგილზე გოგირდის აბანოები გაშენდა. აღნიშნული ადგილი თბილისის ისტორიული უბანი - აბანოთუბანია.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ყოფილა დასახლებული. IV საუკუნის II ნახევარის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის - პიტიახშის რეზიდენცია გახდა.

V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი ქალაქის დამაარსებლადაა მიჩნეული. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის დაფუძნების ნაცვლად მის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი.

ტექსტში აბზაცის დასაყენებლად **Indentation** ველის **Special** გადამრთველში აირჩიეთ **First line**, ხოლო **By** გადამრთველში – მანძილი მინდვრიდან აბზაცამდე (1,27 სმ).

აბზაცებს შორის ინტერვალი განისაზღვრება **Indentation** ველის **Before** და **After** გადამრთველებით, ხოლო სტრიქონებს შორის ინტერვალი **Line spacing** გადამრთველით (**Single** – სტრიქონებს შორის ერთი ინტერვალი, **1,5 Lines** – 1,5 ინტერვალი, **Double** – ორი ინტერვალი, **At least** – სულ მცირე **At** გადამრთველით მითითებული ინტერვალი, **Exactly** – ზუსტად **At** გადამრთველით მითითებული ინტერვალი, **Multiple** – 2,5 და მეტი ინტერვალი) ან  **Line spacing** ღილაკით.

მოახდინეთ პირველი ტექსტის ორჯერ კოპირება. მივცეთ მას ქვემოთ მოყვანილი სახე და დავაყენოთ აბზაცის დაცილება მინდვრიდან 1,25 სმ, ხოლო აბზაცებს შორის ინტერვალი 10 პიქსელი. მეორე ასლის თითოეული აბზაცისათვის სტრიქონებს შორის ინტერვალი დავაყენოთ ნიმუშის მიხედვით.

**საქართველო**

**საქართველო** სახელმწიფოა ევრაზიაში, კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი ესაზღვრება. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

**თბილისი** (1936 წლამდე *ტფილისი*) საქართველოს დედაქალაქია; 1922–1936 წლებში ერთდროულად ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქიც იყო; იგი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე მდებარეობს; ჩრდილოეთით მას საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით - ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი - თრიალეთის ქედის განშტოებები ესაზღვრება. ქალაქს 720 კმ² ფართობი უჭირავს და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

ლეგენდის თანახმად, თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, ქართველ მეფეს (ერთ-ერთი ვარიანტით, ვახტანგ გორგასალს) ნადირობის დროს შველი დაუჭრია, შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვარიანტით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო მეფეს ტყე გაუკაფავს და ქალაქი გაუშენებია. ქალაქს „თბილისი“ - „თბილი“ (ძვ. ქართულად „ტფილი“) მინერალური წყაროების გამო უწოდეს.

შემდგომში ამ ადგილზე გოგირდის აბანოები გაშენდა. აღნიშნული ადგილი თბილისის ისტორიული უბანი - აბანოთუბანია.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ყოფილა დასახლებული. IV საუკუნის II ნახევარის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის - პიტიახშის რეზიდენცია გახდა.

V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი ქალაქის დამაარსებლადაა მიჩნეული. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის დაფუძნების ნაცვლად მის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი.

- **Single** – სტრიქონებს შორის ერთი ინტერვალი:

**საქართველო** სახელმწიფოა ევრაზიაში, კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი ესაზღვრება. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

- **1,5 Lines** – სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი:

**თბილისი** (1936 წლამდე *ტფილისი*) საქართველოს დედაქალაქია; 1922–1936 წლებში ერთდროულად ამიერკავკასიის სფსრ დედაქალაქიც იყო; იგი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, ზღვის დონიდან 380–600 მ სიმაღლეზე მდებარეობს; ჩრდილოეთით მას საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთი, აღმოსავლეთით - ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი, დასავლეთით და სამხრეთით კი - თრიალეთის ქედის განშტოებები ესაზღვრება. ქალაქს 720 კმ$^2$ ფართობი უჭირავს და 1.152 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს.

- **Double** – სტრიქონებს შორის ორი ინტერვალი:

ლეგენდის თანახმად, თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, ქართველ მეფეს (ერთ-ერთი ვარიანტით, ვახტანგ გორგასალს) ნადირობის დროს შველი დაუჭრია, შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვარიანტით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო მეფეს ტყე გაუკაფავს და ქალაქი გაუშენებია. ქალაქს „თბილისი“ - „თბილი“ (ძვ. ქართულად „ტფილი“) მინერალური წყაროების გამო უწოდეს. შემდგომში ამ ადგილზე გოგირდის აბანოები გაშენდა. აღნიშნული ადგილი თბილისის ისტორიული უბანი - აბანოთუბანია.

- **At least** – სტრიქონებს შორის **At** გადამრთველით მითითებული ინტერვალი (15):

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ყოფილა დასახლებული. IV საუკუნის II ნახევარის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის - პიტიახშის რეზიდენცია გახდა.

- **Exactly** – სტრიქონებს შორის ზუსტად **At** გადამრთველით მითითებული ინტერვალი (10):

V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი ქალაქის დამაარსებლადაა მიჩნეული. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის დაფუძნების ნაცვლად მის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი,.

- **Multiple** – სტრიქონებს შორის 2,5 და მეტი ინტერვალი (2,5):

V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. ვახტანგ გორგასალმა აღადგინა და გააშენა, ამიტომ იგი ქალაქის დამაარსებლადაა მიჩნეული.

ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით მეფე ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის დაფუძნების ნაცვლად მის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი.

## დოკუმენტის ასომთავრულით და მხატვრული ტექსტით გაფორმება

თუ ტექსტის არე არ არის ხილული, მაშინ უნდა მოვნიშნოთ **SmartArt** გრაფიკი და შემდეგ დამატებითი **SmartArt Tools ⇨ Design** მენიუს **Create Graphic** ქვემენიუში დააწკაპუნეთ **Text Pane**-ზე. ამ შემთხვევაში გაიხსნება **Type your text here** ფანჯარა, რომლის ველებში რიგ-რიგობით შევიყვანოთ შესაბამის ტექსტებს.

**Word**-ში გრაფიკებთან სამუშაო საშუალებები ჩნდებიან მხოლოდ მაშინ, როცა დოკუმენტში ემატება ახალი გრაფიკი ან მოინიშნება არსებული. როგორც კი კურსორი გადაადგილდება ტექსტის არეში, ეს ჩანართი უკვალოდ ქრება. **SmartArt** ობიექტებთან სამუშაო ყველა ინსტრუმენტი გაერთიანებულია ცალკე დამატებით **SmartArt Tools ⇨ Design** და **SmartArt Tools ⇨ Format**

მენიუებში, რომლის ქვემენიუთა ღილაკების საშუალებით შეგვიძლია გრაფიკის სტილისა და სახეობების შერჩევა, აგრეთვე მასში შემავალი ფორმების სტილისა და დიზაინის შერჩევა და ამ ფორმებში განთავსებული ტექსტის დაფორმატება.

იმის ნახვა, თუ როგორ გამოიყურება გრაფიკი ეფექტის გამოყენების შემდეგ, შესაძლებელია მისი გამოყენების გარეშეც - ეფექტის მენიუს პუნქტზე კურსორის მიყვანით გრაფიკი შესაბამის სახეს მიიღებს. როგორც კი კურსორს სხვა ეფექტზე მიიყვანთ, ის იცვლება და შედეგი მხოლოდ მაუსის ამ ეფექტზე დაწკაპუნების შემდეგ დაფიქსირდება.

ზემოთ მოყვანილი ტექსტის შესაბამის სქემა ავაგოთ **SmartArt**-ის ობიექტების გამოყენებით, მაგალითად:

## პერსონალური კომპიუტერების კლასიფიკაცია



## დიაგრამებისა და გრაფიკების აგება.

ინფორმაციის აღქმისა და ანალიზის გაადვილების მიზნით, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის შექმნისას დამუშავებული ინფორმაციის თვალსაჩინოების საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. გრაფიკული დიაგრამების სახით **Word**-ს მონაცემთა ასახვის მძლავრი საშუალება აქვს. მას შეუძლია 11 სხვადასხვა ტიპის დიაგრამა შემოგვთავაზოს, რომელთაგან თითოეული რამოდენიმე მზა ფორმატს შეიცავს.

დიაგრამა დოკუმენტში განთავსებული მონაცემების საფუძველზე იქმნება და ამ მონაცემების გრაფიკული ასახვისა და მათი შემდგომი ანალიზისათვის გამოიყენება.

დიაგრამის შესაქმნელად დიაგრამათა შექმნის სპეციალური ოსტატი გამოიყენება, რომლის გამოძახება **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Charts** ღილაკით შეიძლება. გახსნილ **Insert Chart** დამატებით ფანჯარაში შესაბამისი ტიპის დიაგრამების შერჩევაა შესაძლებელი.




**Word**-ს 11 სხვადასხვა ტიპის დიაგრამა აქვს. ესენია:

– **Column** - ჰისტოგრამა, მასში შედის აგრეთვე ცილინ-დრული, კონუსური, პირამიდული დიაგრამები;

– **Line** - გრაფიკი;

– **Pie** - წრიული დიაგრამა;

– **Bar** - ხაზოვანი დიაგრამა;

– **Area** - არის ტიპის დიაგრამა;

– **XY(Scatter)** - წერტილოვანი დიაგრამა;

– **Stock** - საბირჟო დიაგრამა;

– **Surface** - ზედაპირული დიაგრამა;

– **Doughnut** - რგოლი;

– **Bubble** - ბუშტულებიანი დიაგრამა;

– **Radar** - რადარი.

დიაგრამების აგების მიზნით პარალელურად გაიხსნება **Microsoft Excel**-ის დავთრის ფანჯარა ერთი ფურცლით სახელწოდებით **Chart in Microsoft Office Word**. ამ ფურცელზე განთავსებულია პირობითი ცხრილი, რომლის რედაქტირების მიხედვით შესაბამისად იცვლება აგებული დიაგრამაც. დიაგრამები რომელსაც ვქმნით იქნება ჩადებული **Word**-ში, ხოლო დიაგრამის მონაცემები შენახულია **Excel**-ის სამუშაო ფურცელზე, რომელიც **Word**-ის ფაილებს შეუერთდება.

ჩვენ ასევე შეგვიძლია მოვახდინოთ **Excel**-დან დიაგრამის **Word**-ში კოპირება. როცა ხდება დიაგრამის კოპირება ის შეიძლება იყოს ან ჩაშენებული, როგორც სტატიკური მონაცემები ან იყოს დაკავშირებული სამუშაო დავთართან. დიაგრამისათვის, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო დავთართან, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ ის ავტომატიურად შემოწმდეს სამუშაო დავთარში განხორციელებული ყოველი ცვლილება, როცა მოხდება დიაგრამის შემცველი დოკუმენტის გახსნა. **Word**-ში დიაგრამას, რომელიც შედგენილია ტიპიური მონაცემებით **Excel**-ის სამუშაო ფურცელში ექნება შემდეგი სახე:




იმისათვის, რომ **Word**-ის დიაგრამასთან დაკავშირებული მონაცემები შევინახოთ, საჭიროა დოკუმენტში კურსორი დავაყენოთ იმ ადგილზე, სადაც გვინდა დიაგრამის ჩასმა და მაუსით დავაწკაპუნოთ **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Chart** ღილაკზე. გაიხსნება **Insert Chart** დიალოგური ფანჯარა. გახსნილ ფანჯარაში დიაგრამის ტიპი და სტილი შევარჩიოთ და მაუსი **OK** ღილაკზე დავაწკაპუნოთ. სამუშაო მაგიდაზე დოკუმენტთან ერთად ვერტიკალური დაყოფით (**split**) **Excel**-ის ფანჯარა გაიხსნება და სამუშაო დავთარზე მონაცემების ნიმუშს გვიჩვენებს:

| | A | B | C | D |
|---|---|---|---|---|
| 1 | | Series 1 | Series 2 | Series 3 |
| 2 | Category 1 | 4,3 | 2,4 | 2 |
| 3 | Category 2 | 2,5 | 4,4 | 2 |
| 4 | Category 3 | 3,5 | 1,8 | 3 |
| 5 | Category 4 | 4,5 | 2,8 | 5 |

**Excel**-ის სამუშაო დავთარში ტიპიური მონაცემები სასურველი მონაცემებით . უნდა შევცვალოთ  ასევე შეიძლება სვეტისა და სტრიქონის დასახელებათა შეცვლაც. მას შემდეგ, რაც ცხრილში მონაცემები განახლდება, დიაგრამა ავტომატურად ახალი მონაცემებით იქნება განახლებული.

თუ დიაგრამის ნაჩვენები ფორმა გვაკმაყოფილებს, მაშინ მისი ცალკეული ელემენტის მოწყობა-რედაქტირება დამატებითი **Chart Tools ⇒ Design**, **Chart Tools ⇒ Layout** da **Chart Tools ⇒ Format** მენიუების შესაბამისი ქვემენიუების ღილაკების საშუალებითაა შესაძლებელი.

ააგეთ დიაგრამა შემდეგი ნიმუშის მიხედვით:




| | A | B | C | D | E |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | ნატახტარ | ზედაზენ | კოკა-კოლ | პეპსი |
| 2 | 2011 წელი | 2100 | 1100 | 2510 | 2200 |
| 3 | 2012 წელი | 2400 | 2150 | 2620 | 2310 |
| 4 | 2013 წელი | 2600 | 2560 | 2650 | 2510 |
| 5 | 2014 წელი | 2700 | 2650 | 2710 | 2350 |




| | A | B | C | D |
|---|---|---|---|---|
| 1 | | 2011 წელი | | |
| 2 | ნატახტარი | 2100 | | |
| 3 | ზედაზენი | 1100 | | |
| 4 | კოკა-კოლა | 2510 | | |
| 5 | პეპსი | 2200 | | |
| 6 | | | | |
| 7 | | | | |

# ლაბორატორიული სამუშაო № 8
## ცხრილების შექმნა. უჯრედების ჩამატება და წაშლა

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი.

**ცხრილის შექმნა შაბლონების გამოყენებით.** ცხრილის შესაქმნელად შეიძლება შაბლონები იქნას გამოყენებულ, რომელიც წინასწარ დაფორმატებულ ცხრილების გალერეაშია მოთავსებული. ცხრილის შაბლონები ტიპიურ მონაცემებს შეიცავენ, რათა ცხრილის ვიზუალური სახის შერჩევაში დაგვეხმაროს. ამისათვის, კურსორი დოკუმენტის იმ ადგილზე დავაყენოთ, სადაც ცხრილის ჩასმა გვსურს. მაუსი **Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკზე დავაწკაპუნოთ და ჩამოშლილ მენიუში **Quick Tables** ბრძანება ავირჩიოთ. მის გასწვრივ შაბლონების ნიმუშები ჩამოიშლება. მაუსის დახმარებით სასურველი ცხრილის შაბლონი მოვნიშნოთ და მიღებულ ცხრილში მასში არსებული მონაცემები ჩვენი მონაცემებით შევცვალოთ.




**ცხრილის შექმნა მენიუთი.** კურსორი დოკუმენტის იმ ადგილზე დავაყენოთ, სადაც ცხრილის ჩასმა გვსურს. მაუსი **Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკზე დავაწკაპუნოთ და ჩამოშლილ მენიუში **Insert Tables** ველში მაუსი სასურველი რაოდენობის სტრიქონებსა და სვეტებზე გადავატაროთ და მის მარცხენა კლავიშზე დავაწკაპუნოთ.




**ცხრილის შექმნა ცხრილის ჩასმის ბრძანებებით.** ცხრილის შესაქმნელად შეიძლება **Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკით ჩამოშლილი მენიუს **Insert Tables ...** ბრძანებით ვისარგებლოთ. დამატებითი დიალოგური ფანჯარა **Insert Table** გაიხსნება, სადაც **Table size** ველში ცხრილში სტრიქონებისა და სვეტების რაოდენობა უნდა დავაფიქსიროთ, ხოლო **AutoFit behavior** ველში ცხრილის ზომის დასარეგულირებელი ვარიანტი უნდა შეირჩიეს.

**ცხრილის დახატვა.** ცხრილის შესაქმნელად შეიძლება **Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკით ჩამოშლილი მენიუს **Draw Table** ბრძანება ან **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს  - **Bottom Border** ღილაკით ჩამოშლილი მენიუს **Draw Table** ბრძანება გამოვიყენოთ. ამ დროს მაუსის მაჩვენებელი ფანქრის ფორმას მიიღებს და მისი საშუალებით შეიძლება საჭირო ცხრილის დახატვა. ცხრილის გარე საზღვრების განსაზღვრის მიზნით დავხატოთ მართკუთხედი. ამისათვის, მაუსის მაჩვენებელი დოკუმენტის იმ ადგილას მივიყვანოთ, სადაც ცხრილის ჩასმა გვსურს და მაუსის მარცხენა კლავიშზე ხელის აუღებლად დავხატოთ მართკუთხედი. ცხრილის გარეთა კონტურის დახატვის შემდეგ **Table Tools ⇨ Design** და **Table Tools ⇨ Layout** დამატებითი მენიუები ავტომატურად ჩაირთვება. გარდა ამისა, იმავე წესით მართკუთხედის შიგნით სტრიქონებისა და სვეტების ხაზები გავავლოთ. ცხრილის ხატვის დასრულების შემდეგ ხატვის რეჟიმის გამორთვა შეიძლება **Table Tools ⇨ Design** მენიუს **Draw Borders** ქვემენიუს **Draw Table** ბრძანების ამორთვით ან **Table Tools ⇨ Layout** მენიუს **Table** ქვემენიუს **View Gridlines** ღილაკით ან **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს  - **Bottom Border** ღილაკით ჩამოშლილი მენიუს **Draw Table** ბრძანების ამორთვით ან **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს  - **Bottom Border** ღილაკით ჩამოშლილი მენიუს **View Gridlines** ბრძანებით.

ცხრილის შექმნის შემდეგ ცხრილის რედაქტირებისათვის გამოიყენება **Table Tools ⇨ Design** და **Table Tools ⇨ Layout** მენიუების ქვემენიუების ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული ღილაკები ან ცხრილის უჯრედზე გახსნილი კონტექსტური მენიუს ბრძანებებით, რომელთა დანიშნულება მოცემულია ქვემოთ:



- **Insert Left** – სვეტის ჩამატება მონიშნული უჯრედის ან სვეტის მარცხნივ;



- **Insert Right** – სვეტის ჩამატება მონიშნული უჯრედის ან სვეტის მარჯვნივ;



- **Insert Above** – სტრიქონის ჩამატება მონიშნული უჯრედის ან სტრიქონის ზემოთ;



- **Insert Below** – სტრიქონის ჩამატება მონიშნული უჯრედის ან სტრიქონის ქვემოთ;

**Rows & Columns**  - უჯრედის ჩამატება. ამ დროს გაიხსნება **Insert Cells** დამატებითი ფანჯარა, სადაც შეიძლება ავირჩიოთ არსებული უჯრების გადანაცვლების მიმართულება. იგივე ფანჯარა შეიძლება მონიშნულ უჯრედზე მაუსის მარჯვენა კლავიშით გახსნილი კონტექსტური მენიუს **Insert ⇨ Insert Cells** ბრძანებით გაიხსნას:




**Delete Table** – ცხრილის წაშლა;

**Delete Columns** – სვეტის წაშლა;

**Delete Rows** – სტრიქონის წაშლა;

**Delete Cells** – უჯრედის წაშლა;

**Select Table** – ცხრილის მონიშვნა;

**Select Columns** – სვეტის მონიშვნა;

**Select Rows** – სტრიქონის მონიშვნა;

**Select Cells** – უჯრედის მონიშვნა;



- **Merge Cells** – მონიშნული უჯრედების გაერთიანება;



- **Split Cells** – მონიშნული უჯრედის გაყოფა;



- **Split Table** – ცხრილის გაყოფა;


- **Distribute Rows** – მონიშნული სტრიქონების გათანაბრება;


**Distribute Columns** – მონიშნული სვეტების გათანაბრება;

ზემოთ ჩამოთვლილი ბრძანებების გარდა **Table Tools ⇨ Design** და **Table Tools ⇨ Layout** მენიუების ქვემენიუების ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებულია ცხრილების დაფორმატების სხვა ღილაკებიც:



– **Draw Table** ცხრილის დასახატი ფანქარი;



– **Table Eraser** საშლელი;


– **Line Style** ჩარჩოს ხაზის სტილი;



– **Line Weight** ხაზის სისქე;



– **Pen Color** ჩარჩოს ფერი;



– **Borders** ცხრილის ჩარჩო;



– **Shading** უჯრედის ფონის ფერი;


- **Align** უჯრაში ტექსტის სწორება;



– **Text Direction** უჯრედში ტექსტის მიმართულების შერჩევა;



- **Cell Margins** უჯრის მინდვრები;



– **Sort** ცხრილში სვეტების მოწესრიგება.

შექმენი შემდეგი სახის ცხრილი ნებისმიერი ზემოთ მოყვანილი წესის საშუალებით, მოახდინეთ მიღებული ცხრილის თორმეტჯერ კოპირება და შემდეგ ცხრილში რიგ-რიგობით ჩაამატეთ და წაშალეთ უჯრები, სვეტები და სტრიქონები ქვემოთ მოყვანილი ნიმუშების მიხედვით

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) | | |
| (2;1) | | | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | | (3;3) | (3;4) | (3;5) | |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (2;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (3;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |
| | (4;2) | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (1;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (2;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |
| (3;1) | | | | |
| (4;1) | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| | | | | |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| | | | | |
| | | | | |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | | | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | | | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | | | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | | | (4;4) | (4;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;4) | (3;5) | |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;3) | (1;4) | (1;5) | | |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;4) | (3;5) | |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (3;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (4;4) | (2;5) |
| (3;1) | (4;2) | (3;3) | | (3;5) |
| (4;1) | | (4;3) | | (4;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |

| | | |
|---|---|---|
| (1;1) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;4) | (4;5) |

განმეორებით მოახდინეთ პირველი ცხრილის კოპირება და მას დაუმატეთ ორი სტრიქონი. მოახდინეთ მიღებული ცხრილის სამჯერ კოპირება, სადაც განახორციელებთ უჯრედების გაერთიანებას, დაყოფას და ცხრილის გაყოფას ნიმუშის მიხედვით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |
| (5;1) | (5;2) | (5;3) | (5;4) | (5;5) |
| (6;1) | (6;2) | (6;3) | (6;4) | (6;5) |

<table>
<tr><td>(1;1)</td><td>(1;2)</td><td>(1;3)</td><td>(1;4)</td><td>(1;5)</td></tr>
<tr><td>(2;1)</td><td>(2;2)</td><td rowspan="3">(2;3)<br>(3;3)<br>(4;3)</td><td>(2;4)</td><td>(2;5)</td></tr>
<tr><td>(3;1)</td><td>(3;2)</td><td>(3;4)</td><td>(3;5)</td></tr>
<tr><td>(4;1)</td><td>(4;2)</td><td>(4;4)</td><td>(4;5)</td></tr>
<tr><td>(5;1)</td><td>(5;2)</td><td>(5;3)</td><td>(5;4)</td><td>(5;5)</td></tr>
<tr><td>(6;1)</td><td>(6;2)</td><td>(6;3)</td><td>(6;4)</td><td>(6;5)</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>(1;1)</td><td>(1;2)</td><td>(1;3)</td><td colspan="3">(1;4)</td><td>(1;5)</td></tr>
<tr><td>(2;1)</td><td>(2;2)</td><td>(2;3)</td><td>(2;4)</td><td>(3;4)</td><td></td><td>(2;5)</td></tr>
<tr><td>(3;1)</td><td>(3;2)</td><td>(3;3)</td><td></td><td></td><td></td><td>(3;5)</td></tr>
<tr><td>(4;1)</td><td>(4;2)</td><td>(4;3)</td><td colspan="3">(4;4)</td><td>(4;5)</td></tr>
<tr><td>(5;1)</td><td>(5;2)</td><td>(5;3)</td><td colspan="3">(5;4)</td><td>(5;5)</td></tr>
<tr><td>(6;1)</td><td>(6;2)</td><td>(6;3)</td><td colspan="3">(6;4)</td><td>(6;5)</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (1;1) | (1;2) | (1;3) | (1;4) | (1;5) |
| (2;1) | (2;2) | (2;3) | (2;4) | (2;5) |
| (3;1) | (3;2) | (3;3) | (3;4) | (3;5) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| (4;1) | (4;2) | (4;3) | (4;4) | (4;5) |
| (5;1) | (5;2) | (5;3) | (5;4) | (5;5) |
| (6;1) | (6;2) | (6;3) | (6;4) | (6;5) |

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი და შექმენით ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

**მოთხოვნა №______**

”____”_______________ 2010 წ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დამკვეთი _______________ | | შეკვეთა _________ | | | |
| | | | | | |
| № | პროდუქციის დასახელება, ზომის ერთეული და ხარისხი | ჯგუფი | ღირებულება | | ჯამი |
| | | | შემოსავალი | გასავალი | |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| 4 | | | | | |
| 5 | | | | | |
| 6 | | | | | |
| 7 | | | | | |
| 8 | | | | | |
| 9 | | | | | |
| 10 | | | | | |
| 11 | | | | | |
| 12 | | | | | |
| 13 | | | | | |
| 14 | | | | | |
| | სულ | | | | |
| | პასუხისმგებელი პირი | _______________ | | | |
| | მთავარი ბუღალტერი | _______________ | | | |
| | ფირმის დირექტორი | _______________ | | | |

მიღებული დოკუმენტი შეინახეთ თქვენ საქაღალდეში (ფოლდერი) ახალი სახელით.

## ლაბორატორიული სამუშაო № 9
## ცხრილში მონაცემების შეტანა. ავტოფორმატი

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი და შექმენით ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

| № | გვარი, სახელი | ხელფასი (ლარებში) | თანამდებობა | ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | მეტრეველი ამირანი | 500 | სექტორის უფროსი | ცოლშვილიანი |
| 2. | ბუაძე ნატო | 450 | ჯგუფის უფროსი | გასათხოვარი |
| 3. | ბრეგაძე დავითი | 350 | უფროსი ინჟინერი | უცოლშვილო |
| 4. | ლაბაძე ნანა | 300 | ინჟინერი | ქმარშვილიანი |

მოცემული ცხრილის ასაგებად შეიძლება გამოიყენოთ ცხრილის შექმნის ერთ-ერთი მეთოდი (ჩვენს შემთხვევაში 5X5).

ცხრილის შექმნის შემდეგ ცხრილის რედაქტირებისათვის გამოიყენება **Table Tools ⇨ Design** და **Table Tools ⇨ Layout** მენიუების ქვემენიუების ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული ღილაკები.

დავუშვათ ორგანიზაციას ესაჭიროება დამატებითი ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ (დაბადების წელი და მუშაობის სტაჟი).

ამ ინფორმაციის ჩასამატებლად ჯერ მოახდინეთ ცხრილის კოპირება და შემდეგ სვეტების ჩამატება. ცხრილი მიიღებს შემდეგ სახეს:

| № | გვარი, სახელი | ხელფასი (ლარებში) | დაბადების წელი | თანამდებობა | მუშაობის სტაჟი | ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტრეველი ამირანი | 500 | 1978 | სექტორის უფროსი | 10 | ცოლშვილიანი |
| 2. | ბუაძე ნატო | 450 | 1982 | ჯგუფის უფროსი | 5 | გასათხოვარი |
| 3. | ბრეგაძე დავითი | 350 | 1981 | უფროსი ინჟინერი | 7 | უცოლშვილო |
| 4. | ლაბაძე ნანა | 300 | 1984 | ინჟინერი | 4 | ქმარშვილიანი |

კვლავ მოახდინეთ ცხრილის კოპირება და შემდეგ ცხრილში ჩაამატეთ ახალი თანამშრომლების მონაცემები:

| № | გვარი, სახელი | ხელფასი (ლარებში) | დაბადების წელი | თანამდებობა | მუშაობის სტაჟი | ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტრეველი ამირანი | 500 | 1978 | სექტორის უფროსი | 10 | ცოლშვილიანი |
| 2. | ბუაძე ნატო | 450 | 1982 | ჯგუფის უფროსი | 5 | გასათხოვარი |
| 3. | ბრეგაძე დავითი | 350 | 1981 | უფროსი ინჟინერი | 7 | უცოლშვილო |
| 4. | ლაბაძე ნანა | 300 | 1984 | ინჟინერი | 4 | ქმარშვილიანი |
| 5. | ბართელი გოჩა | 400 | 1980 | უფროსი ინჟინერი | 9 | ცოლშვილიანი |
| 6. | სამჭკუაშვილი მარიკა | 200 | 1988 | უფროსი ლაბორანტი | 3 | ქმარშვილიანი |
| 7. | გოგუა ანა | 180 | 1990 | ლაბორანტი | 1 | გასათხოვარი |

მოახდინეთ ცხრილის კოპირება და შემდეგ ცხრილის სათაურში **ხელფასი (ლარებში)** და **დაბადების წელი** შეუცვალეთ ტექსტს მიმართულება, ამასთან, იგივე სვეტები და ყველა სტრიქონი გაათანაბრეთ.

აგრეთვე, მოახდინეთ მონაცემების დალაგება ალფავიტის მიხედვით, ხელფასის ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით, მუშაობის სტაჟის მიხედვით და სხვა. ცხრილი მიიღებს შემდეგ სახეს:

| № | გვარი, სახელი | ხელფასი (ლარებში) | დაბადების წელი | თანამდებობა | მუშაობის სტაჟი | ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტრეველი ამირანი | 500 | 1978 | სექტორის უფროსი | 10 | ცოლშვილიანი |
| 2. | ბუაძე ნატო | 450 | 1982 | ჯგუფის უფროსი | 5 | გასათხოვარი |
| 3. | ბრეგაძე დავითი | 350 | 1981 | უფროსი ინჟინერი | 7 | უცოლშვილო |
| 4. | ლაბაძე ნანა | 300 | 1984 | ინჟინერი | 4 | ქმარშვილიანი |
| 5. | ბართელი გოჩა | 400 | 1980 | უფროსი ინჟინერი | 9 | ცოლშვილიანი |
| 6. | სამჭკუაშვილი მარიკა | 200 | 1988 | უფროსი ლაბორანტი | 3 | ქმარშვილიანი |
| 7. | გოგუა ანა | 180 | 1990 | ლაბორანტი | 1 | გასათხოვარი |

თქვენთვის სასურველი ცხრილის ტიპის შესარჩევად **Table Tools ⇨ Design** მენიუს **Table Styles** ქვემენიუს ჩამოშლადი შაბლონებიდან თქვენთვის სასურველი შაბლონი შეარჩიეთ. თუ ჩამოშლილ სიაში **Modify Table Style** ბრძანებას აირჩევთ, მაშინ არსებული დიზაინის მოდიფიკაცია, ხოლო **New Table Style** ბრძანებით ცხრილის ახალი სტილის შექმნაა შესაძლებელი. მაგალითად:

| № | გვარი, სახელი | ხელფასი (ლარებში) | დაბადების წელი | თანამდებობა | მუშაობის სტაჟი | ოჯახური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტრეველი ამირანი | 500 | 1978 | სექტორის უფროსი | 10 | ცოლშვილიანი |
| 2. | ბუაძე ნატო | 450 | 1982 | ჯგუფის უფროსი | 5 | გასათხოვარი |
| 3. | ბრეგაძე დავითი | 350 | 1981 | უფროსი ინჟინერი | 7 | უცოლშვილო |
| 4. | ლაბაძე ნანა | 300 | 1984 | ინჟინერი | 4 | ქმარშვილიანი |
| 5. | ბართელი გოჩა | 400 | 1980 | უფროსი ინჟინერი | 9 | ცოლშვილიანი |
| 6. | სამჭკუაშვილი მარიკა | 200 | 1988 | უფროსი ლაბორანტი | 3 | ქმარშვილიანი |
| 7. | გოგუა ანა | 180 | 1990 | ლაბორანტი | 1 | გასათხოვარი |

## ტექსტის გარდაქმნა ცხრილად და პირიქით

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი და აკრიბეთ შემდეგი ტექსტი:

№ - გვარი, სახელი - სქესი - დაბადების წელი
1 - მეტრეველი ამირანი - მამრობითი - 1978
2 - ბუაძე - მდედრობითი - 1982
3 - ბრეგაძე დავითი - მამრობითი - 1981
4 - ლაბაძე ნანა - მდედრობითი - 1984

ტექსტის ცხრილად გარდაქმნის მიზნით ამ ტექსტისათვის უნდა შევარჩიოთ სიმბოლო, რომელიც სვეტებში განსათავსებელ ტექსტში გამყოფის ფუნქციას შეასრულებს. ეს სიმბოლოები პარაგრაფის მარკერის ტიპის (¶) აღმნიშვნელი სიმბოლო, წერტილ-მძიმე (;), ტაბულაციის ნიშანი (→) ან სხვა ნებისმიერი სიმბოლო შეიძლება იყოს, რომელსაც შემდეგ გახსნილ **Convert Text to Table** დიალოგური ფანჯრის **Separate text at** ველში

მივუთითებთ. ამისათვის, **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუში **Show/Hide** (¶) ღილაკი ჩავრთოთ და შესაბამისი სიმბოლოები გადასაყვან ტექსტში ჩავუმატოთ. მოვნიშნოთ ტექსტი და **Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკით ჩამოშლილ მენიუში **Convert Text to Table** ბრძანება შევარჩიოთ. გაიხსნება **Convert Text to Table** დიალოგური ფანჯარა.




იმისათვის, რომ ტექსტი გარდაქმნათ ცხრილად, ამისათვის სტანდარტული ინსტრუმენტების პანელზე ჩართეთ ¶ – **Show/Hide** ღილაკი. ზემოთ მოყვანილ ტექსტში იმ ტირეების ან ინტერვალების ნაცვლად, სადაც გსურს დაყოთ ტექსტი სვეტებად, **<Tab>** კლავიშის საშუალებით ჩაწერეთ → ისრის ფორმის სიმბოლო. თუ რომელიმე ტექსტში რომელიმე სვეტის შესაბამისი მონაცემი აკლია, მაშინ მის ადგილზე **<Tab>** კლავიში უნდა გამოიყენოთ ორჯერ. პირველად ტექსტი გარდაქმენით ორსვეტიან ცხრილად. აღნიშნული სიმბოლოების ჩამატების შემდეგ ტექსტს ექნება შემდეგი სახე:

№ → გვარი, სახელი - სქესი - დაბადების წელი¶
1 → მეტრეველი ამირანი - მამრობითი - 1978¶
2 → ბუაძე - მდედრობითი - 1982¶
3 → ბრეგაძე დავითი - მამრობითი - 1981¶
4 → ლაბაძე ნანა - მდედრობითი - 1984¶

რის შემდეგაც მონიშნეთ გარდასაქმნელი ტექსტი და გამოიყენეთ **Convert Text to Table** ბრძანება:

| | |
|---|---|
| № | გვარი, სახელი - სქესი - დაბადების წელი |
| 1 | მეტრეველი ამირანი - მამრობითი - 1978 |
| 2 | ბუაძე - მდედრობითი - 1982 |
| 3 | ბრეგაძე დავითი - მამრობითი - 1981 |
| 4 | ლაბაძე ნანა - მდედრობითი - 1984 |

ანალოგიური წესით, ზემოთ მოყვანილი ტექსტი გარდაქმენით სამ, ოთხ და ხუთსვეტიან ცხრილებად

| № | გვარი, სახელი | სქესი - დაბადების წელი |
|---|---|---|
| 1 | მეტრეველი ამირანი | მამრობითი - 1978 |
| 2 | ზუაძე | მდედრობითი - 1982 |
| 3 | ბრეგაძე დავითი | მამრობითი - 1981 |
| 4 | ლაზაძე ნანა | მდედრობითი - 1984 |

| № | გვარი, სახელი | სქესი | დაბადების წელი |
|---|---|---|---|
| 1 | მეტრეველი ამირანი | მამრობითი | 1978 |
| 2 | ზუაძე | მდედრობითი | 1982 |
| 3 | ბრეგაძე დავითი | მამრობითი | 1981 |
| 4 | ლაზაძე ნანა | მდედრობითი | 1984 |

| № | გვარი | სახელი | სქესი | დაბადების წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | მეტრეველი | ამირანი | მამრობითი | 1978 |
| 2 | ზუაძე | | მდედრობითი | 1982 |
| 3 | ბრეგაძე | დავითი | მამრობითი | 1981 |
| 4 | ლაზაძე | ნანა | მდედრობითი | 1984 |

ამის შემდეგ სტანდარტული ინსტრუმენტების პანელზე გამორთეთ ¶ - **Show/Hide** ღილაკი.

ცხრილის ტექსტად გარდაქმნისათვის მოვნიშნოთ ცხრილი და **Table Tools ⇨ Layout** დამატებითი მენიუს **Data** ქვემენიუში **Convert to Text** ბრძანება შევარჩიოთ. გაიხსნება **Convert Table to Text** დიალოგური ფანჯარა, რომლის **Separate text with** ველში სვეტებში განთავსებული მონაცემების გამყოფი სიმბოლო ავირჩიოთ. თუ მონიშნავთ **Paragraph marks** – ყოველი უჯრედის შემცველობა დაიწყება ახალი აბზაციდან; **Tabs** – ტექსტი დარჩება ცხრილის სახით, ოღონდ ბადის გარეშე; **Semicolons** – ყოველი უჯრედის შემცველობა ერთმანეთისაგან გამოყოფილი იქნება წერტილ-მძიმით; **Other** – ყოველი უჯრედის შემცველობა ერთმანეთისაგან გამოყოფილი იქნება მცირე ფანჯარაში მითითებული სიმბოლოთი.



ზემოთ მოყვანილი მიღებული ცხრილები გარდაქმენით ტექსტად თითოეული ცალკ-ცალკე ყველა წესის მიხედვით, რისთვისაც მოახდინეთ თითოეულის ოთხჯერ კოპირება. მაგალითად, მეორე ცხრილს ექნება შემდეგი სახე:

№
გვარი, სახელი
სქესი - დაბადების წელი
1
მეტრეველი ამირანი
მამრობითი - 1978
2
ბუაძე
მდედრობითი - 1982
3
ბრეგაძე დავითი
მამრობითი - 1981
4
ლაბაძე ნანა
მდედრობითი - 1984

| № | გვარი, სახელი | სქესი - დაბადების წელი |
|---|---|---|
| 1 | მეტრეველი ამირანი | მამრობითი - 1978 |
| 2 | ბუაძე | მდედრობითი - 1982 |
| 3 | ბრეგაძე დავითი | მამრობითი - 1981 |
| 4 | ლაბაძე ნანა | მდედრობითი - 1984 |

№ ; გვარი, სახელი ; სქესი - დაბადების წელი
1 ; მეტრეველი ამირანი ; მამრობითი - 1978
2 ; ბუაძე ; მდედრობითი - 1982
3 ; ბრეგაძე დავითი ; მამრობითი - 1981
4 ; ლაბაძე ნანა ; მდედრობითი - 1984

№ + გვარი, სახელი + სქესი - დაბადების წელი
1 + მეტრეველი ამირანი + მამრობითი - 1978
2 + ბუაძე + მდედრობითი - 1982
3 + ბრეგაძე დავითი + მამრობითი - 1981
4 + ლაბაძე ნანა + მდედრობითი - 1984

# ლაბორატორიული სამუშაო № 10
## მათემატიკური ფორმულების ჩაწერა

მათემატიკურ ფორმულებში, რომელიც **Word**-შია ჩაწერილი, შეიძლება 150-მდე სიმბოლო იყოს გამოყენებული. დოკუმენტში ფორმულის ჩასასმელად საჭიროა მაუსით **Insert** მენიუს **Symbols** ქვემენიუს **Equation** ღილაკზე დავაწკაპუნოთ, რომლის დროსაც ჩამოიშლება **Built-In** ფანჯარა - ფორმულათა გალერეა.

ამ ფანჯარაში მომხმარებელმა შეიძლება მისთვის სასურველი ფორმულა შეარჩიოს და შემდეგ მისი რედაქტირება მოახდინოს, ან **Insert New Equation** ბრძანება აირჩიოს, რომლის შემდეგაც დოკუმენტში შემდეგი სახის ველი გაჩნდება, სადაც ფორმულის ჩაწერა ხდება:







იგივე ოპერაცია შეიძლება **<Alt>+<=>** კლავიშთა კომბინაციითაც შესრულდეს. თუ დოკუმენტში ფორმულის ველია მონიშნული, მაშინ **Equation Tools ⇨ Design** დამატებითი მენიუ გაიხსნება, რომლის ქვემენიუებშიც განთავსებული ღილაკების საშუალებით ფორმულების აკრეფვა და რედაქტირებაა შესაძლებელი.

**Equation Tools ⇨ Design** მენიუს **Tools** ქვემენიუს **Equation** ღილაკი იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც **Insert** მენიუს **Symbols** ქვემენიუს **Equation** ღილაკი ასრულებდა. იმავე ქვემენიუს **Professional** და **Linear** ღილაკების საშუალებით ფორმულის ტექსტი შეიძლება სტანდარტული პროფესიული სახით წარმოვადგინოთ ან ერთ ხაზზე წრფივი სახით ჩაიწეროს. **Normal Text** ღილაკის საშუალებით ფორმულის ტექსტი შეიძლება ჩვეულებრივი ან დახრილი შრიფტით იყოს ჩაწერილი. იგივე ოპერაციის შესრულება ფორმულის მარჯვენა კუთხეში მაუსით ისარზე დაწკაპუნებით ჩამოშლილი მენიუს შესაბამისი ბრძანებებითაც შეიძლება. აქვე,



სტრიქონში ფორმულის ადგილმდებარეობის განსაზღვრაც შეიძლება.

**Equation Tools** ⇨ **Design** მენიუს **Symbols** ქვემენიუში განლაგებული ღილაკებით ფორმულაში შეიძლება ნებისმიერი მათემატიკური სიმბოლო ჩავწეროთ. ქვემენიუს მარჯვენა მხარეს - **Row** ან - **More** ღილაკებია განლაგებული. **Row** ღილაკზე ხელის დაჭერით ფანჯარაში სიმბოლოთა შეცვლა მოხდება, ხოლო **More** ღილაკზე ხელის დაჭერით ჩამოიშლება ფანჯარა, სადაც მოცემული ჯგუფის ყველა სიმბოლო გამოჩნდება. დასაწყისში ეს მსთემატიკური სიმბოლოების საბაზო ჯგუფია - **Basic Math**. თუ ჯგუფის დასახელების მარჯვენა მხარეს მდებარე ისარზე მაუსით დავაწკაპუნებთ მათემატიკურ სიმბოლოთა ჯგუფის მენიუ ჩამოიშლება, რომლითაც ეს საბაზო ჯგუფი სხვა ჯგუფით შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, როგორიცაა ბერძნული ასოების, ოპერატორების, სკრიპტების და მრავალი სხვა ჯგუფი.




**Equation Tools** ⇨ **Design** მენიუს **Structures** ქვემენიუში განლაგებული ღილაკების საშუალებით შაბლონების სია ჩამოიშლება, სადაც შეიძლება მათემატიკური ფორმულის შესაბამისი შაბლონი შეირჩეს. ეს შაბლონებია:

წილადები;
სკრიპტები, ანუ ზედა და ქვედა ინდექსები;
ფესვები, ანუ რადიკალები;
ინტეგრალები;
დიდი ოპერატორები - ჯამი, ნამრავლი და სხვა;
ფრჩხილები;
ფუნქციები;
ზედა და ქვედა ხაზგასმული;
ზღვრები და ლოგარითმები;
სიმრავლის თეორიის ელემენტები;
მატრეიცები.

ფორმულის რედაქტირებისათვის ფორმულაზე მაუსით ორჯერ დაწკაპუნებაა საკმარისი.

გახსენით **Word**-ის ახალი დოკუმენტი. დააყენეთ კურსორი ფორმულის ჩაწერის ადგილზე და გამოიძახეთ მათემატიკური ფორმულის რედაქტორი.

ამ ფორმულის ჩასაწერი ინსტრუმენტების პანელის დახმარებით ჩაწერეთ შემდეგი მათემატიკური ფორმულა:

$\sum_{i=1}^{n}(X_i + B)$

ფორმულის ზომების შეცვლა შესაძლებელია მისი მონიშვნის შემდეგ სურათის მსგავსად:

$$\sum_{i=1}^{n}(X_i + B)$$

ანალოგიური წესით ჩაწერეთ შემდეგი ფორმულები:

$$Y = \begin{cases} a + x, \text{ თუ } x > 0 \\ a - x, \text{ თუ } x \le 0 \end{cases} \qquad Y(t) = \frac{2}{\Pi}\int_{0}^{\varpi}\frac{R(\varpi)}{\varpi}\sin(\omega t)dt$$

$$F(x) = x^3 \sum_{n=1}^{\infty} n^{\frac{1}{x+2}}$$

$$X = \begin{cases} 5 & 3 & 9 \\ 5 & 7 & 2 \\ 4 & 6 & 8 \end{cases}$$

$$Y = \sqrt{\frac{a+x}{b+c}} \qquad x = \sqrt[8]{\frac{x^2 + y^2}{e^x}}$$

$$a = \frac{\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m} X_i Y_j - \frac{1}{n}\sum_{j=1}^{m} Y_j}{\sum_{i=1}^{n} X_i^2 - \frac{1}{m}\sum_{i=1}^{n}(X_i)^2} \qquad z = \begin{cases} \sin(x), \text{ თუ } x \le a \\ \cos(x), \text{ თუ } a < x < b \\ tg(x), \text{ თუ } x \ge b \end{cases}$$

$$C_n^m = \frac{n!}{m!(n-m)!} = \prod_{i-1}^{n-m}\frac{m+1}{i}$$

$$k_1 = \frac{2\omega_0}{\Delta T}\left(\frac{1}{\Delta T} - \frac{2}{T}\right) + \frac{4(\gamma_k - \gamma_0)}{\Delta T \cdot T}$$

$$\xi^1(t) = \frac{|x|^2}{|r|^2}(\cos(\gamma_f - \gamma(t))r_x^1 - \cos(\gamma(t))r_y^1))$$

მიღებული დოკუმენტი შეინახეთ თქვენ საქაღალდეში (ფოლდერი) ახალი სახელით.

## ზოგადი მითითებანი MS PowerPoint-ში

**PowerPoint** - საპრეზენტაციო პროგრამის გაშვება ხდება **Start** ⇒ **All Programs** ⇒ **Microsoft Office** ⇒ **Microsoft Office PowerPoint 2007** ბრძანებით ან სამუშაო მაგიდაზე მოთავსებულ **PowerPoint**-ის ნიშნაკზე მაუსით ორჯერ დაწკაპუნებით.

პრეზენტაციისათვის სლაიდების, მათი დიზაინის, სურათები, დიაგრამების, მუსიკალური და ანიმაციური გაფორმების შერჩევისათვის გამოიყენება შემდეგი ბრძანებები:

- **სლაიდების დამატება და წაშლა.** **PowerPoint**-ში ახალი პრეზენტაციის გახსნის დროს პირველ სლაიდად ჩუმათობის პრინციპით **Title Slide -** სატიტულო სლაიდი გამოდის, ხოლო მომდევნო სლაიდების შერჩევა მომხმარებლის სურვილით **Home** მენიუს **Slides** ქვემენიუს **New Slide** ღილაკზე დაწკაპუნებით ხდება. ამ დროს ჩამოიშლება დამატებითი ფანჯარა – სლაიდების საოფისე თემების გალერეა, სადაც შეიძლება სასურველი სლაიდის სტილი შეირჩეს. თუ არსებული სლაიდის ანალოგიური სლაიდის ჩამატება გვინდა, მაშინ ჩამოშლილ ფანჯარაში **Dublicate Selected Slides** ბრძანება ავირჩიოთ ან კლავიშთა კომბინაცია **<Ctrl>+<M>** გამოვიყენოთ, თუ რომელიმე სხვა ობიექტის ჩამატება გვინდა, მაშინ **Slides from Outline**, ხოლო უკვე არსებული პრეზენტაციიდან რომელიმე სლაიდის გადმოწერა, მაშინ **Reuse Slides**. ამ დროს მარჯვენა მხარეს პრეზენტაციებისა და სლაიდების მოსაძებნად **Reuse Slides** დამატებითი ფანჯარა გაიხსნება.

  თუ შერჩეული სლაიდი სასურველ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ **Home** მენიუს **Slides** ქვემენიუს **Layout** ღილაკის საშუალებით შეგვიძლია ეს სლაიდი ახლით შევცვალოთ. თუ სლაიდში ტექსტური „ყუთის" ზომა, ადგილმდებარეობა და სხვა შევცვალეთ იმავე ქვემენიუს **Reset** ღილაკის საშუალებით შეგვიძლია მას ჩუმათობის პრინციპით მინიჭებული პარამეტრები დავუბრუნოთ, ხოლო იმავე ქვემენიუს **Delete** ღილაკით არასასურველი სლაიდი წავშალოთ;

- **პრეზენტაციის ჩვენება:** პრეზენტაციის ჩვენება პირველი სლაიდიდან ბოლომდე შეიძლება განხორციელდეს **Slide Show** მენიუს **Start Slide Show** ქვემენიუს **From Beginning** ღილაკით ან სტატუს ზოლში განთავსებული **Slide Show** (სლაიდების ჩვენება) ღილაკის ან **<F5>** კლავიშის საშუალებით. პრეზენტაციის ჩვენება მონიშნული სლაიდიდან ბოლომდე შეიძლება განხორციელდეს **Slide Show** მენიუს **Start Slide Show** ქვემენიუს **From Current Slide** ღილაკის საშუალებით ან კლავიშთა კომბინაციით **<Shift>+<F5>**, ხოლო სლაიდების ჩვენება ამორჩევით იმავე ქვემენიუს **Custom Slide Show** ღილაკით. ამ უკანასკნელი მოქმედების დროს გაიხსნება **Custom Shows** დამატებითი ფანჯარა, სადაც **New** ღილაკზე ხელის დაჭერით გაიხსნება მეორე **Define Custom Show** დამატებითი ფანჯარა.

  ამ ფანჯრის **Slides in presentation** ველში არის მოცემული პრეზენტაციაში შემავალი სლაიდების სია ჩვეულებრივი მიმდევრობით. რიგ-რიგობით მოვნიშნოთ სლაიდები

და **Add** ღილაკის საშუალებით გადავიტანოთ **Slides in custom show** ველში იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც გვსურს მისი ჩვენება მომავალი პრეზენტაციის დროს;

- **სლაიდებისა და თითოეული ელემენტის ანიმაციის შერჩევა: Animations** მენიუს Transition to This Slide ქვემენიუში განლაგებული ანიმაციური ეფექტების ღილაკების გამოყენებით ხდება. თუ სლაიდზე რამდენიმე ობიექტია (ტექსტური „ყუთი“, სურათი, დიაგრამა, სიები და სხვა) განთავსებული, მაშინ მათი გამონათების სხვადასხვა ანიმაციური ეფექტების შერჩევა შეგვიძლია, რისთვისაც ეს ობიექტი მოვნიშნოთ და **Animations** მენიუს **Animations** ქვემენიუს **Animate** ჩამოშლად ველში სასურველი ანიმაცია ავარჩიოთ. ხოლო თუ არსებული ნიმუშები ჩვენ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ მაუსი **Custom Animation** ღილაკზე დავაწკაპუნოთ, რის შემდეგაც ფანჯრის მარჯვენა მხარეს იმავე დასახელების დამატებითი ფანჯარა გაიხსნება. მოცემული ფანჯრის **Add Effect** ღილაკით ჩამოშლილ მენიუში ეფექტების სტილი შევარჩიოთ, ხოლო **Modify effect** ველში მისი დაწყების მეთოდი, სიჩქარე, რიგითობა და სხვა;
- **სლაიდის დიზაინის შერჩევა: Design** მენიუში განთავსებული ღილაკების მეშვეობით;
- **სლაიდის სტრუქტურის შერჩევა: Home** მენიუს **Slides** ქვემენიუს **Layout** ღილაკის საშუალებით;
- **სლაიდის ფონის შერჩევა: Design** მენიუს **Background** ქვემენიუს **Background Styles** ღილაკით;
- **სლაიდების ჩვენების დროის შერჩევა: Slide Show** მენიუს **Set Up** ქვემენიუს **Rehearse Timings** ღილაკით;
- **სლაიდების მხატვრული ტექსტით გაფორმება: Insert** მენიუს **Text** ქვემენიუს **WordArt** ბრძანება;
- **სლაიდში თარიღისა და დროის დამატება: Insert** მენიუს **Text** ქვემენიუს **Date & Time** ბრძანება;
- **სლაიდზე სურათის ჩასმა: Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Clip Art** ბრძანება თუ სურათი უნდა შეირჩეს საოფისე პროგრამის გალერეიდან და **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Picture** ბრძანება;
- **სლაიდზე ახალი ტექსტური ყუთის დამატება: Insert** მენიუს **Text** ქვემენიუს **Text Box** ბრძანება ან **Drawing Tools ⇒ Format** მენიუს **Insert Shapes** ქვემენიუს **Text Box** ბრძანება;
- **სლაიდზე ცხრილის დამატება: Insert** მენიუს **Tables** ქვემენიუს **Table** ღილაკით;
- **SmartArt გრაფიკული რედაქტორი:** ამ რედაქტორით შეიძლება სწრაფად და მოხერხებულად შეიქმნას ინფორმაციის გადაცემისა და მოძრაობის ვიზუალური წარმოდგენა. მისი განხორციელება **Home** მენიუს **Paragraph** ქვემენიუს **Convert to**

**SmartArt** ბრძანების ან **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **SmartArt** ბრძანების გამოყენებითაა შესაძლებელი;

- **სლაიდზე გრაფიკების დამატება:** **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Chart** ბრძანება;
- **სლაიდზე დიაგრამის ჩასმა:** **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Picture** ბრძანება;
- **ფიგურების ჩასმა:** **Home** მენიუს **Drawing** ქვემენიუს **Insert Shapes** ⇒ **More** ღილაკით ან ავტოფიგურების სია ჩამოიშლება **Insert** მენიუს **Illustrations** ქვემენიუს **Shapes** ბრძანებით ან დამატებითი **Drawing Tools** ⇒ **Format** მენიუს **Insert Shapes** ქვემენიუს **More** ღილაკით ავტოფიგურების სია ჩამოიშლება;
- **სლაიდის თავსართისა და ბოლოსართის დამატება:** **Insert** მენიუს **Text** ქვემენიუს **Header and Footer** ბრძანება;
- **სლაიდების ნუმერაცია:** **Insert** მენიუს **Text** ქვემენიუს **Slide Number** ბრძანება;
- **სლაიდის ხმოვანი, მუსიკალური და ვიდეო გაფორმება:** პრეზენტაციის ხმოვანი გაფორმების მიზნით გამოიყენება **Insert** მენიუს **Media Clips** ქვემენიუს **Sound** ბრძანება. ჩამოშლილ ფანჯარაში შეიძლება ავირჩიოთ შემდეგი ბრძანებები: **Sound from File** - ხმა ფაილიდან, ამ დროს სლაიდზე მცირე ზომის დინამიკი  გაჩნდება და გაიხსნება **Insert Sound** დამატებითი ფანჯარა, რომელშიც შეგვიძლია კომპიუტერში ჩაწერილი მუსიკა ან სხვა აუდიო კლიპი ჩავსვათ სლაიდში; **Sound from Clip Organizer** - ხმა აუდიო კლიპების გალერეიდან, ამ დროსაც სლაიდზე მცირე ზომის დინამიკი  გაჩნდება და ეკრანზე, ფანჯრის მარჯვენა მხარეს გაიხსნება **Clip Art** დამატებითი ფანჯარა, სადაც შეგვიძლია სასურველი აუდიო კლიპი შევარჩიოთ; **Play CD Audio Track** - მუსიკა კომპაქტ-დისკიდან, ამ დროსაც სლაიდზე გაჩნდება კომპაქტ-დისკის  აღნიშვნა და **Insert CD Audio** დამატებითი ფანჯარა გაიხსნება.

  პრეზენტაციის ვიდეო კლიპით გაფორმების მიზნით გამოიყენება **Insert** მენიუს **Media Clips** ქვემენიუს **Movie** ბრძანება. ჩამოშლილ ფანჯარაში შეიძლება ავირჩიოთ შემდეგი ბრძანებები: **Movie from File** - ფილმი ფაილიდან, ამ დროს გაიხსნება **Insert Movie** დამატებითი ფანჯარა, რომელშიც შეგვიძლია კომპიუტერში ჩაწერილი ფილმი ან სხვა ვიდეო კლიპი ჩავსვათ სლაიდში; **Movie from Clip Organizer** - ფილმი ვიდეო კლიპების გალერეიდან, ამ დროს ეკრანზე, ფანჯრის მარჯვენა მხარეს გაიხსნება **Clip Art** დამატებითი ფანჯარა, სადაც შეგვიძლია სასურველი ვიდეო კლიპი შევარჩიოთ.

## ლაბორატორიული სამუშაო №11

გახსენით პრეზენტაციის ახალი სლაიდი და ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით გააკეთეთ სლაიდები, სადაც თითოეული სლაიდისათვის დამოუკიდებლად შეარჩევთ სლაიდის ფონს, დიზაინს, ჩვენების ანიმაციასა და ხმოვან გაფორმებას.







უნივერსალური კომპიუტერები
სერვერები
სამუშაო სადგურები
სამაგიდო (Desktop) პერსონალური კომპიუტერები
სამაგიდო მინი-კომპიუტერები (LCD PC, Slim-desk)
სამაგიდო გამომცემლობა


პორტატული (Notebook) კომპიუტერები
თვით პორტატული კომპიუტერები (Notebook)
მცირე პორტატული კომპიუტერები (Subnotebook)
პლანშეტური კომპიუტერები (Tablet PC)







მიღებული პრეზენტაცია შეინახეთ თქვენს საქაღალდეში.

## ლაბორატორიული სამუშაო №12

გახსენით ახალი სლაიდი და შექმენით მინიმუმ 8-10 სლაიდისაგან შემდგარი პრეზენტაცია, რომლის თემაც იქნება "გამოჩენილი ქართველი მწერალი და პოეტი". პრეზენტაციისათვის საჭირო მასალა მოიძიეთ ინტერნეტის მეშვეობით.

ინტერნეტში მასალის მოსაძიებლად გამოიყენეთ ერთ-ერთი ინტერნეტ-ბრაუზერი **Google Chrome**, **Internet Explorer**, **Opera** ან **Mozilla Firefox**.

ამ ერთ-ერთი ბრაუზერით გახსნილი ფანჯრის მისამართის ველში ჩაწერეთ რომელიმე საძიებო სისტემის მისამართი. ეს საძიებო სისტემებია:

- **http://internet.ge**
- **http://www.google.ge**
- **http://www.yandex.ru**
- **http://www.yahoo.com**

გახსნილი ვებ-გვერდის ძებნის ველში ჩაწერეთ საძიებო სიტყვა ან ტექსტი და **Searh** ღილაკზე ხელის დაჭერით მოიძებნება ის ვებ-გვერდები, რომელიც მითითებულ სიტყვას ან ტექსტს მოიცავს.

მოძიებული ვებ-გვერდები რიგ-რიგობით გახსენით და შესაბამისი ტექსტები და სურათები მონიშნეთ და მოახდინეთ მათი კოპირება თქვენს სლაიდებში.

პრეზენტაციის შექმნის პროცესში სლაიდებზე დაამატეთ მიმდინარე თარიღი და სტუდენტის გვარი, სახელი, ფაკულტეტი და ჯგუფის ნომერი.

ქვემოთ მოყვანილია გამოჩენილი ქართველი მწერალებისა და პოეტების არასრული სია:

1. შოთა რუსთაველი
2. სულხან-საბა ორბელიანი
3. გრიგოლ ორბელიანი
4. ალექსანდრე ჭავჭავაძე
5. ნიკოლოზ ბარათაშვილი
6. ილია ჭავჭავაძე
7. აკაკი წერეთელი
8. დავით გურამიშვილი
9. იაკობ გოგებაშვილი
10. ვაჟა-ფშაველა
11. გალაკტიონ ტაბიძე
12. ნიკო ლორთქიფანიძე
13. გიორგი ლეონიძე
14. გრიგოლ რობაქიძე
15. ლადო ასათიანი
16. კონსტანტინე გამსახურდია

17. მიხეილ ჯავახიშვილი
18. ნოდარ დუმბაძე
19. ანა კალანდაძე
20. მუხრან მაჭავარიანი
21. ოტია იოსელიანი

მათგან აირჩიეთ ერთ-ერთი თქვენი სურვილის მიხედვით და გააკეთეთ პრეზენტაცია. პრეზენტაციის შექმნის პროცესში შეარჩიეთ სლაიდის ფონი, დიზაინი, ჩვენების ანიმაცია და ხმოვანი გაფორმება.

**მიღებული პრეზენტაცია შეინახეთ თქვენს საქაღალდეში.**

## ლაბორატორიული სამუშაო №13

გახსენით ახალი სლაიდი და შექმენით მინიმუმ 10-12 სლაიდისაგან შემდგარი პრეზენტაცია, რომლის თემაც იქნება ”გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები”. პრეზენტაციისათვის საჭირო მასალა მოიძიეთ ინტერნეტის მეშვეობით.

ქვემოთ მოყვანილია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების არასრული სია:

1. ზაქარია ფალიაშვილი
2. ვაჟა აზარაშვილი
3. დიმიტრი არაყიშვილი
4. ალექსანდრე ბასილაია
5. ვიქტორ დოლიძე
6. ოთარ თაქთაქიშვილი
7. ჯანსუღ კახიძე
8. გია ყანჩელი
9. რევაზ ლაღიძე
10. გიორგი ცაბაძე
11. სულხან ცინცაძე

მათგან აირჩიეთ ერთ-ერთი თქვენი სურვილის მიხედვით და გააკეთეთ პრეზენტაცია. პრეზენტაციის შექმნის პროცესში შეარჩიეთ სლაიდის ფონი, დიზაინი, ჩვენების ანიმაცია და ხმოვანი გაფორმება.

**მიღებული პრეზენტაცია შეინახეთ თქვენს საქაღალდეში.**

## ლაბორატორიული სამუშაო №14

გახსენით ახალი სლაიდი და შექმენით მინიმუმ 10-12 სლაიდისაგან შემდგარი პრეზენტაცია, რომლის თემაც იქნება სპორტი. პრეზენტაციისათვის საჭირო მასალა მოიძიეთ ინტერნეტის მეშვეობით.

სპორტის სახეობა ან გამოჩენილი სპორტსმენი შეარჩიეთ თქვენი სურვილის მიხედვით და გააკეთეთ პრეზენტაცია. პრეზენტაციის შექმნის პროცესში შეარჩიეთ სლაიდის ფონი, დიზაინი, ჩვენების ანიმაცია და ხმოვანი გაფორმება.

**მიღებული პრეზენტაცია შეინახეთ თქვენს საქაღალდეში.**